# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 11 ნოემბერი 2004 №263 (2284) ფასი 50 თეთრი

# ვინ ექიდავა ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტს?

## ფალავნები უპატრონოდ დაგვირჩნენ




უცნაური, ძალიან მოულოდნელი და სანყენი ამბავი: ძლივს ფეხზე დამდგარმა ჩვენმა ჭიდაობამ პატრონი და მარჩენალი დაკარგა. თანამდებობიდან გადადგა ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი გოჩა ძასოხოვი, რომელიც თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას 2000 წლიდან თავკაცობდა და რომლის დროსაც საქართველოს მოჭიდავეებმა ოთხ-ოთხი ოქრო მოიპოვეს მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე, თითოჯერ გახდნენ მსოფლიოს გუნდური ჩემპიონები და არც ათენიდან წამოსულან მთლად ხელცარიელნი. სულ რამდენიმე დღის წინ კი თბილისმა სულაც მსოფლიო თასს უმასპინძლა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში და ეს თასიც ქართველებმა დაიტოვეს.

ვერ მოგახსენებთ, რამ ან ვინ აიძულა ძასოხოვი, ეს ნაბიჯი გადაედგა. თავად მიზეზად სპორტსაზოგადოება „დინამოს“ თავკაცად არჩევას ასახელებს — ამ საქმეს უნდა მივხედოო. მაგრამ რეალურად, ცხადია, სხვა მიზეზი არსებობს. ამ ქვეყანაში ასე არ ხდება, სახლი ააშენო და მერე თქვა, ვისაც გინდათ, შედით და იცხოვრეთო. ამას ხომ ბავშვიც არ დაიჯერებს.

ფაქტი კი ჯიუტია და — ერთხელაც ვთქვათ — სანყენი: ქართულ ჭიდაობას დღეს პატრონი აღარ ჰყავს!

# არველაძემ აიბროქსი აღრიალა



REUTERS

გლაზგოს „რეინჯერსმა“, როგორც იქნა, ნავსი გატეხა და მოსისხლე „სელტიკს“ მოუგო. „ჩაფრებს“ ზედიზედ შვიდ მატჩში ვერ მოეხერხებინათ თანაქალაქელთა დამარცხება და შოთა არველაძის წყალობით გუშინღა შეძლეს გადაჭედილი „აიბროქსის“ გახარება — შოტლანდიის ლიგის თასის მეოთხედფინალური მატჩის დამატებით დროში ჩვენებურმა მოხდენილი ცაციათი გაუტანა დევიდ მარშალს.

გერმანიის თასის მეოთხედფინალში გავიდნენ „გერმანელი“ ქართველები. ცქიტიშვილ-იაშვილის „ფრაიბურგმა“ პენალტებით აჯობა რეგიონალლიგელ „პადერბორნს“. სანამ საქმე პენალტებამდე მივიდოდა, „ცქიტამ“ თერთმეტმეტრიანითვე დააწინაურა თავისიანები. ლევან კობიაშვილი და „შალკე“ კი იოლად, 2:0 გაუსწორდნენ ფრანკფურტის „აინტრახტს“.

თავსხმა წვიმაში მხოლოდ ქულას დასჯერდა „ბრეშასთან“ ნასტუმრევი „მილანი“, რომლის ძირითადში კვლავ ითამაშა კახა კალაძემ და ბედს რომ მოწყალე თვალით შეეხედა, საამსეზონო მეორე გოლს შეაგდებდა.

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. II ჯგუფი
# ჩვენი მეტოქეები

### 17 ნოემბერი

### საბერძნეთი — ყაზახეთი

#### ყაზახეთი

**მეკარეები:** იური ნოვიკოვი (ირტიში), ალექსანდრ მოკინი (ჟენისი);
**მცველები:** იგორ ავდეევი (ჟენისი), სამატ სმაკოვი (კაირატი), სერგეი კოზულინი (ორდაბასი), რენატ დუბინსკი (შინიკი, რუსეთი), დმიტრი ლიაპკინი (ხიმკი, რუსეთი), ანტონ ჩიჩულინი (ჟენისი);
**ნახევარმცველები:** რუსლან ბალტიევი (მოსკოვი, რუსეთი), ანდრეი კარპოვიჩი (კაირატი), რაფაელ ურაზბახტინი (აკტობე-ლენტო), კაირატ ნურდაულეტოვი (ირტიში), ფარხადბეკ ირისმეტოვი (ირტიში), დიას კამელოვი (ირტიში), ედუარდ სერგიენკო (ჟენისი), მაქსიმ ჟალმაგამბეტოვი (ჟენისი), მაქსიმ აზოვსკი (თარაზი, აზერბაიჯანი);
**თავდამსხმელები:** მაქსიმ შევჩენკო (ჟეტისუ), ალიბეკ ბულეშევი (კაირატი), დენის როდიონოვი (ატირაუ), სერგეი ოსტაპენკო (ალმატი), სერგეი ლარინი (ალმატი)

### გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი

დორტმუნდი (მ) 1:1 ზანკტ პაული

თასის მერვედფინალი

პადერბორნი 2:2დ.დ.(პენ.1:4, 1:1) *ფრაიბურგი*
აალენი 2:3დ.დ.(2:2) *ჰანზა*
აინტრახტი 0:2 *შალკე*
*ბაიერნი* 3:0 შტუტგარტი

### ჰოლანდია

ამსტელის თასის 1/16 ფინალი

ვეენდამი 4:5 *ტილბურგი*
*დენ ბოსხი* 1:0 ვიტესი
ნაიმეგენი 0:2 *ტვენტე*
იონგი 1:1დ.დ.(პენ.3:4, 1:1) *ვალვაიკი*
ადო-20 0:3 *ბრედა*

### სლოვაკეთი

თასის მესამე ეტაპი

მორავცე 0:2 *ჟილინა*

### სერბეთი

თასის მეოთხედფინალი

პარტიზანი 1:0 ობილიჩი
რადნიჩკი 0:1 რადი
ჟელეზნიკი 1:1დ.დ.(პენ.2:1, 1:1) ჩუკარიჩკი
ცრვენა ზვეზდა 2:1 სარტიდი

### პოლონეთი

თასის მეთექვსმეტედფინალი

სტალი 0:1 ლეჩნა
შკალნიკი 2:5 კატოვიცე
გლივიცე 0:4 ბელხატოვი
ოლიმპია 1:4 დიშკოზოლია
ოდრა 3:0 ლოძი
ვლოცლი 1:5 პოლცკი
კოტვიცა 1:2 ამიკა
კორონა 1:3 პოლონია
გურნიკი 3:1 პოდბესკიდზე
დრვეცა 1:1 გდინია
ვისლა 2:0 გორჟიცე
ლეგია 4:0 სვიტი

### იაპონია

ჯეი ლიგა
გადადებული მატჩები

ოიტა 0:4 ნაგოია
ნიიგატა 1:3 კაშივა

### შოტლანდია

ლიგის თასის 1/4 ფინალი

*რეინჯერსი* 2:1დ.დ.(1:1) სელტიკი
დანფერმლაინი 1:3 *ჰართსი*

### ინგლისი

ლიგის თასის 1/8 ფინალი

ნოტინგემი 2:4დ.დ.(1:1) *ფულემი*
ნიუკასლი 0:2დ.დ.(0:0) *ჩელსი*
*ლივერპული* 2:0 მიდლსბრო
*მანჩესტერ იუნ.* 2:0 კრ. პალასი

### ბრაზილია

სერია A. გადადებული მატჩი

სან კაეტანო 2:1 პარანა

### საფრანგეთი

ლიგის თასის 1/16 ფინალი

რენი 1:1დ.დ.(პენ.3:5, 1:1) *ოსერი*
*გენგამი* 4:2დ.დ.(1:1) ისტრი
*ლილი* 3:2დ.დ.(1:1) ლიონი
*ნანტი* 2:1 ლავალი
მარსელი 2:3 *პსჟ*

### იტალია

სერია A. XI ტური

ბრეშა 0:0 მილანი
კიევო 1:0 ატალანტა
ინტერი 2:2 ბოლონია
იუვენტუსი 1:0 ფიორენტინა
ლივორნო 1:0 ლაციო
პარმა 1:0 რეჯინა
რომა 0:3 უდინეზე
სამპდორია 0:0 კალიარი
სიენა 1:1 ლეჩე

### ბელგია

იუპილერლიგა. XIII ტური

გენკი 1:1 გენტი
ვესტერლო 2:1 მონსი
ბრიუსელი 2:2 ოსტენდე
მუსკრონი 0:1 შარლერუა
ლოკერენი 1:1 ბევერენი
ლუვიე 1:0 სენტ ტრუიდენი
სტანდარდი 1:0 ანდერლეხტი
სერკლ ბრიუგე 2:2 ლიერსი
ბეერსხოტი 0:1 ბრიუგე

### უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. XIII ტური

ნირედიჰაზა 0:2 ვიდეოტონი
ტატაბანია 1:2 ზალაეგერსეგი
უიპეშტი 1:2 ჰონვედი
ვაშაში 3:1 დიოშდიორი
შოპრონი 1:0 დიორ ეტო
კაპოშვარი 1:2 მტკ
ფერენცვაროში 1:1 პეჩი
ბეკეშჩაბა 0:2 დებრეცენი

### ესპანეთი

სამეფო თასის 1/16 ფინალი

კადისი 0:2 *ბეტისი*
*ელჩე* 1:0 დეპორტივო
*მირანდესი* 0:0(პენ.4:3) სოსიედადი
პონტევედრა 1:2დ.დ.(0:0) *ხეტაფე*
*ვალიადოლიდი* 2:1 რასინგი
ხირონა 0:1დ.დ.(0:0) *ოსასუნა*
*გრამანეტი* 2:1 ლევანტე
კორდობა 1:1დ.დ.(პენ.3:4, 1:1) *ნუმანსია*
ლეონესა 1:2დ.დ.(1:1) *ბილბაო*
*უელვა* 1:0დ.დ.(0:0) ალბასეტე
ტერასა 2:2დ.დ.(პენ.2:4, 1:1) *ლეიდა*
სიუდად მურსია 1:2 *სევილია*
*ლორკა* 5:2დ.დ.(2:2) მალაგა
*ლანსაროტე* 2:1 მალიორკა
ტენერიფე 1:2დ.დ.(1:1) *რეალი*

### დანია

თასის მერვედფინალი

იოლსტიკე 0:3 *მიდტიულანდი*
*ჰორსენსი* 3:1დ.დ.(1:1) ორჰუსი

# ორსართულიანი დანია თუ ერთსართულიანი საქართველო?
## გოჩა ტყებუჩავას იმედი აქვს: თამაშს 11 დაამთავრებს



ევროშესარჩევის სამი მატჩის შემდეგ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს, ეროვნულის დარად, 4 ქულა აქვს, თუმც თურქული ფრე და ალბანეთთან მოგება ერთმა უკრაინულმა 0:6-მა წყალს მისცა. აბა, ამის შემდეგ როგორ გინდა, დანიის წაქცევის იმედი გქონდეს.

ჩვენს 21-წლამდელებს ერთი უკურნებელი სენიც სჭირთ — ბოლო ოთხ შეხვედრაში ექვსმა ფეხბურთელმა მიიღო წითელი ბარათი.

გოჩა ტყებუჩავა ნაკრების სადანიო შემადგენლობას ხვალ გამოაცხადებს და ხვალიდანვე ეროვნული ნაკრების ბაზაზე დაიწყებს შეგირდთა მზადებას. გაძევებები ვახსენეთ და, ამის გამო ტყებუჩავას რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დააკლდება, თუმც მწვრთნელი სკანდინავიელებს სულაც არ უფრთხის

**— დანიასთან გოგუა, ციმაკურიძე, ლომიძე და ალადაშვილი არ გვეყოლებიან, რომელთა ნაცვლად ახალი სახეები გამოჩნდებიან, თუმც მათ ვინაობას წინასწარ ვერ გეტყვით.**

— ალენ ჟირესი ხომ არ აპირებს რომელიმე თქვენი ფეხბურთელის გამოძახებას?

— არა, საამმატჩოდ ჟირესს ამის თაობაზე არაფერი უთქვამს.

**— უკრაინულ 0:6-ზე არ ვთქვათ, არ იქნება. მაინც რით ახსნით ასეთ მარცხს?**

— სამწუხაროდ, ვერაფრით. უკრაინაშივე ნამატჩევს მსაჯები გავაკრიტიკე. პირველ და მეორე გაშვებულ გოლებზე მქონდა პრეტენზია, მაგრამ ცივი გონებით რომ განვსაჯე, თავის მართლებასავით გამომივიდა. მატჩი აშკარად ჩავაგდეთ, განსაკუთრებით დაცვაში ვითამაშეთ ცუდად, ჩემი მხრიდანაც იყო ტაქტიკური შეცდომები.

**— თქვენ გუნდს აგრესიული ფეხბურთის თამაშს მოუწოდებთ, მაგრამ ეს ხშირად უხეშობაშიც გადადის, რასაც ამდენი გაძევებაც მოწმობს. როგორ უნდა მოერიოთ დისციპლინის პრობლემებს?**

— როდესაც ერთი ყვითელი მიღებული გაქვს და 0:6-ზე უხეშობ, ამას უდისციპლინობაც არ ჰქვია. მე მგონი, ჩემი დარიგება არ სჭირდებოდა ალადაშვილს, რომ ამ დროს მეტოქე არ უნდა მოეცელა. ეს უფრო ნერვების ბრალია. როდესაც ბრძოლაში ხარ ჩაბმული, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

**— კი მაგრამ, ხომ შეიძლება, დანიასთანაც 10 ან 9 კაცით დარჩეთ...**

— მე ყოველთვის კორექტულობისკენ მოვუწოდებ ფეხბურთელებს, მაგრამ სიხისტე და უდისციპლინობა ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს. მაინც ჩემს აზრზე ვრჩები, ემოციურ და ჟინიან ფეხბურთს ვითხოვ, თორემ სხვანაირად არაფერი გამოგივა.

**— დანიელ ახალგაზრდებზე რა იცით?**

— დანია — უკრაინისა და ალბანეთ — დანიის მატჩების ფირები ვნახეთ. უდავოდ სერიოზული მეტოქე გვყავს, შეიძლება, ჯგუფში საუკეთესოც კი... მობილური გუნდია, ტანად სულ დარჩეულები არიან და მეორე სართულზე ძალიან ყოჩაღობენ. თუმცა ჩვენ ჩვენი ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ და იმედი მაქვს, გულშემატკივრებს ნაწყენს არ დავტოვებთ...

**— მაინც რის ხარჯზე, რა ტაქტიკით შეიძლება მათთან მოგება?**

— ტექნიკის. დანია თუ უფრო ჰაერშია ძლიერი, ჩვენ ბურთი უნდა ვაგოროთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შინ ვთამაშობთ, უფრო შემტევი ვარიანტი უნდა ავირჩიოთ. რა თქმა უნდა, უკრაინულისგან განსხვავებული ტაქტიკა გვექნება...

**ილია ნანობაშვილი**

# ფრაიბურგმა ცქიტიშვილის პენალტით დაიწყო



კერკეტი „პადერბორნი“ „ფრაიბურგმა“ ლევან ცქიტიშვილის გოლითაც გატეხა

**ერთთვიანი** მკურნალობის შემდეგ მოედანზე წინა უქმეებზე დაბრუნებულმა ლევან ცქიტიშვილმა გუშინ გერმანიის თასზეც შეუცვლელად ითამაშა, პენალტით გოლიც გაიტანა და „ფრაიბურგს“ სათასო წინსვლაში შეეწია.

ჩვენებურების „ფრაიბურგის“ მეტოქე გერმანიის რეგიონალლიგის „პადერბორნი“ კი იყო, მაგრამ მატჩი საკმაოდ დრამატული გამოდგა. „ფრაიბურგი“ პირველი ტაიმის ბოლოს სწორედ ცქიტიშვილმა დააწინაურა, 90-ე წუთზე მასპინძლებმა გაათანაბრეს და დამატებითი დროის დასაწყისში მეორეც გაიტანეს. მარცხისგან „ფრაიბურგი“ კულიბალიმ იხსნა — ცქიტიშვილის წამოწყებული შეტევა შედეგიანად დაასრულა.

პენალტებში კი „ფრაიბურგი“ მეტოქეზე აშკარად ძლიერი გამოდგა — 4:1 მოიგო.

შაბათს „ფრაიბურგი“ ბუნდესლიგაში „არმინიას“ უმასპინძლებს, კვირას კი ცქიტიშვილი და იაშვილი თბილისში, სანაკრებო შეკრებაზე ჩამოვლენ.

**ლუკა თალაკვაძე**

საქართველოს ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა — 16 ანონსი — 15 ტური

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

*დღეს ეროვნული ჩემპიონატის მე-15 ტურია, აქამდელებზე არანაკლებ საინტერესო და საინტრიგო. ამ ტურს სადანიო ელფერიც დაჰკრავს — ნაკრების თავკაცი ალენ ჟირესი ერთხელაც შეავლებს თვალს ფეხბურთელებს და დანიელებთან სათამაშოდ შეგულებულ ლეგიონერებს რჩეული „ეროვნული" ბიჭებით შეამდიდრებს. ასე რომ, კანდიდატებს ერთი შანსიც აქვთ...*

*ახლა წყვილებზე ვთქვათ. ცხელი წერტილი ორი იქნება: ბათუმში ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი, „ტორპედო" ჩადის, მცხეთაში კი თბილისური დერბია „ვიტ ჯორჯია" — „ლოკომოტივი". ამ მატჩებზე უფრო დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებთ, მანამდე კი ორიოდ სიტყვა სხვებზეც...*

*ბოლნისში „სიონი" „თბილისს" დაეჯახება და ვნახოთ, როგორი იქნება ლუის ცაკარიასის პირველი საგარეო მატჩი; ფოთში „კოლხეთს" თბილისის „დინამოს" მარწუხებისგან მოუწევს თავის დაძვრენა; ხვალ კი გორში ერთ ბედ ქვეშ მყოფი ორი ლაბა შეიყრება — „დილა" და „ზესტაფონი"...*

ბათუმი. 11 ნოემბერი. 14 საათი. დინამო

## ბათუმი — ტორპედო

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე



ქუთაისის „ტორპედო" ბათუმში გუშინ ჩავიდა და საღამოს ივარჯიშა კიდეც. ჩვენც რიონისპირელთა თავკაც ოთარ გაბელიას სწორედ ვარჯიშის შემდეგ შევეხმიანეთ...

— ძალიან ძნელი თამაში გველის, მაგრამ ამას უკვე მივეჩვიეთ. „ტორპედო" ბოლომდე იბრძოლებს და ვნახოთ, რა გამოგვივა.

— „ბათუმზე" რისი თქმა შეგიძლიათ?

— შარშანდელზე კარგი გუნდი რომ არის, ფაქტია. თან შინ თამაშობს და ეს უპირატესობაც აქვს. მეტოქეს განსაკუთრებით თავდასხმის ხაზი ჰყავს ძლიერი.

— „ტორპედოს" დისკვალიფიცირებული შოთა ბაბუნაშვილი დააკლდება...

— არაა ეს კარგი ამბავი, მაგრამ რამეს მოვიფიქრებთ და ვეცდებით, ბაბუნაშვილის არყოფნა არ დავიტყოთ.

— ბაბუნაშვილის არყოფნაში კაპიტანი ვინ იქნება?

— ზვიად სტურუა.

— რომელსაც ნაკრებში დანიასთან სათამაშოდაც მიიწვევთ?

— ეს ჯერ არ ვიცი. ვნახოთ, რას გადაწყვეტს ალენ ჟირესი.

— „ბათუმთან" ფრე დაგაკმაყოფილებთ?

— ფრე ცუდი შედეგი ნაღდად არ არის, მაგრამ მოგებაზე ვინ იტყვის უარს?!

— „ტორპედოს" მეორე ტაიმში თამაში ძალიან უჭირს. წინა ტურში კი გორის „დილა" სწორედ მეორე ნახევარში დაამარცხეთ...

— ეტყობა, თანდათან ვუმატებთ. გამოჩნდა, რომ რაღაც რეზერვი კიდევ გვქონია. ამ მხრივ „დილასთან" თამაში კარგი ნიშანი იყო ჩვენთვის.



*რევაზ ჩელებაძე, „ბათუმის" პრეზიდენტი:* სერიოზული მეტოქე გვყავს და „ბათუმის" ნაღდი ძალაც სწორედ ასეთ გუნდთან თამაშისას გამოჩნდება. ჩემპიონატი თითქმის სანახევროდ გაილია, „ტორპედო" კი მაინც ლიდერია. ყოჩაღ ოთარ გაბელიას, არაფრისგან ჩვენს პირობებზე საკმაოდ ძლიერი გუნდი გააკეთა. და ყველაფრის მიუხედავად „ბათუმი" „ტორპედოსთან" მხოლოდ მოსაგებად ითამაშებს, ვეცდებით ქუთაისელები საათნახევრით გავანაწყენოთ და სამი ქულა ბათუმში დავიტოვოთ.

მატჩისთვის თითქმის უძლიერესი შემადგენლობით ვემზადებით, მხოლოდ დისკვალიფიცირებული მეკარე სოსო გრიშიკაშვილი დაგვაკლდება. მას ალბათ ირაკლი ბალაძე შეცვლის.

მცხეთა. 11 ნოემბერი. 14 საათი. არმაზი

## ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ი. აფციაური (დუშეთი), მ. [illegible]; ა. შილაკაძე (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. [illegible]

# ვის რა კოზირი გიჭირავთ?

## პასუხი მცხეთაში 15 საათსა და 45 წუთზე

„ვიტ ჯორჯია" – „ლოკომოტივი" ვინძლო ტურის უპირველესი მატჩი არ იყოს, მაგრამ ერთ-ერთი უმთავრესი კი ნამდვილადაა. ისიც ნაღდია, თუ მცხეთაში ბევრი მაყურებელი მივა, თამაშს ლაზათს შესძენს. „ვიტ ჯორჯია" ჩემპიონია, „ლოკომოტივი" კი ჩემპიონობის ერთ-ერთი კანდიდატი – აი, რას ამბობენ დღევანდელ მატჩზე „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი და „ვიტ ჯორჯიას" კაპიტანი...



*ზაურ სვანაძე, „ლოკომოტივის" მწვრთნელი:* საინტერესო თამაში იქნება. ვინც მწყობრშია, ყველა ჯანზეა და მოგება გვინდა. ჯერ ვერ მოირჩინეს ტრავმა ლევან სანიკიძემ და ზაზა ლაცაბიძემ. ვალერი გაგუა კი, ვინც წინა ტურში „კოლხეთთან" ითამაშა, ისრაელში წავიდა სათამაშოდ.

— თუ მატჩი ფრედ დამთავრდა, უკმაყოფილო იქნებით?

— გააჩნია, რა თამაში წავა — თუ მეტოქემ გვაჯობა და ფრეს მივაღწიეთ, კმაყოფილი დავრჩები.

— რადგან გაგუა აღარ გყავთ, შეტევაში მიხეილ ბობოხიძეს და ირაკლი სირბილაძეს გაამწესებთ?

— სავარაუდოდ, ასე იქნება.

— დავით გვარამაძის ნაცვლად წინა ტურში კარი ზურაბ ბათიაშვილს ანდეთ — ახლაც ასე იქნება?

— ჯერ ვერ გეტყვით, მეკარეების მწვრთნელ მამუკა აბუსერიძის აზრს დავეყრდნობით.

— „ვიტ ჯორჯია" ჩემპიონი კია, მაგრამ ამ სეზონში ჩემპიონურად ვერ თამაშობს...

— ჰო, მაგრამ „ვიტ ჯორჯია" თითქმის იგივე გუნდია, რაც წინა სეზონში, შეთამაშებული კოლექტივი, რომლის ფეხბურთელები წლობით თამაშობენ ერთად.

— მეტოქის მთავარ კოზირად მის სწრაფ ფორვარდებს, ოთარ მარცვალაძეს და გიორგი ადამიას მიიჩნევთ?

— ეგრეა, „ვიტ ჯორჯიას" სწრაფი თავდამსხმელები ჰყავს და მათთან თამაში შეიძლება გაგვიჭირდეს.

*ლაშა ნოზაძე, „ვიტ ჯორჯიას" კაპიტანი:* ერთ-ერთი გადამწყვეტი და მძიმე თამაში გველის. მეტოქეს ვაფასებთ, „ლოკომოტივი" ძალიან სერიოზული გუნდია, მაგრამ გამარჯვებისთვის თავს დავდებთ.

— „ვიტ ჯორჯია" ამ სეზონში არასტაბილურად გამოდის, საჩემპიონო თამაშს ვერ აჩვენებს — რას დააბრალებდი ამას?

— ყველა აღმასვლას დაღმასვლა მოსდევს. მიმდინარე სეზონში ჩავარდნები მართლაც გვქონდა, მაგრამ ეს პერიოდი უკვე უკან მოვიტოვეთ, ახლა ყველაფერი ნორმალურადაა და, ასე ვთქვათ, კალაპოტში ვდგებით.

— ბევრს ჰგონია, რომ „ვიტ ჯორჯიადან" გადამწყეტ სიტყვას გუნდის სწრაფი ფორვარდები ამბობენ...

— გადამწყვეტი სიტყვა გუნდმა უნდა თქვას, თუმც ისიც მართალია, რომ ჩვენ სწრაფი ფორვარდები გვყავს და მათ გონებაც კარგად უჭრით — „ლოკომოტივთანაც" გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან გუნდთან ერთად.

— „ლოკომოტივზე" კი ამბობენ, მთავარი სიტყვა აქ ნახევარმცველებს ეთქმითო — „ლოკომოტივის" ნახევარდაცვა სეზონის დაწყების შემდეგ ალეკო გოგობერიშვილით და ლადო ბურდულით გაძლიერდა...

— ამიტომაც ვთქვი, სერიოზული მეტოქე გვაყვს-მეთქი, თუმც ჩვენი და მათი ნახევარდაცვის შედარებას მოვერიდები. „ლოკომოტივი" ყველა რგოლში კარგადაა დაკომპლექტებული.

— შანსებს როგორ შეაფასებდი?

— ამ შემთხვევაში ისე არ არის, მაყურებელი დიდ როლს თამაშობდეს, სახლში ვთამაშობთ, მაგრამ შანსებს 50/50-ზე შევაფასებდი.



ბოლნისი. 11 ნოემბერი. 14 საათი. თამაზ სტეფანია

## სიონი — თბილისი

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ა. ნონიკაშვილი; მ. მალალურაძე (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

გორი. 12 ნოემბერი. 14 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

## დილა — ზესტაფონი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია); ლ. სილაგავა (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე; დირექტორი: ს. კოტრიკაძე

ფოთი. 11 ნოემბერი. 14 საათი. ფაზისი

## კოლხეთი — დინამო

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); ზ. ჯვარიძე, ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი; დირექტორი: პ. ბურჯალიანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 14 | 9 | 2 | 3 | 30:16 | 29 |
| ტორპედო | 14 | 8 | 5 | 1 | 21:8 | 29 |
| თბილისი | 14 | 8 | 3 | 3 | 31:17 | 27 |
| ვიტ ჯორჯია | 14 | 7 | 3 | 4 | 26:19 | 24 |
| ლოკომოტივი | 14 | 6 | 6 | 2 | 19:7 | 24 |
| ბათუმი | 14 | 6 | 4 | 4 | 21:12 | 22 |
| კოლხეთი | 14 | 3 | 2 | 9 | 10:23 | 11 |
| სიონი | 14 | 3 | 2 | 9 | 13:31 | 11 |
| ზესტაფონი | 14 | 3 | 1 | 10 | 9:32 | 10 |
| დილა | 14 | 2 | 2 | 10 | 11:26 | 8 |

# დინამო ექიმებს საქმეს არ ულევს

თბილისის „დინამოს" პრობლემები არ ელევა, თითქმის ყოველი მატჩის შემდეგ გია გეგუჩაძეს ერთი-ორი შეგირდი სამკურნალო უხდება. „ნიუკასლთან" ერთი კვირის წინანდელი მატჩის შემდეგ ექიმებს „დინამოს" კიდევ ორმა ფეხბურთელმა მიაკითხა, შოთა კაშია მენისკმა შეაწუხა, ლადო ახალაია — ზურგმა. კაშია, გეხსომებათ, „ნიუკასლთან" თამაშისას დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა, ხოლო ახალაიას ტრავმა გაუმიზეზდა. „დინამო" კი დღეს ფოთში „კოლხეთს" ეთამაშება და იქ ვერც ერთი ითამაშებს, ვერც — მეორე. ამათ გარდა ჯერაც მკურნალობენ შოთა გრიგალაშვილი და ბრაზილიელი რომერო.



შოთა კაშია

# სკამები ლურჯი იქნება. ოღონდ როდის იქნება?



ეროვნულ სტადიონზე ინდივიდუალური სკამების დამონტაჟება დროებით შეფერხდა — ასეთი უსიამოვნო ამბავი გვამცნო გუშინ თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა ტარიელ ხიზანეიშვილმა.

უკვე გაუწყეთ, რომ „ეროვნულზე" 11 ათასი ახალი სკამის დადგმა გადაწყდა და ამ საქმეს ხელი სამშენებლო კომპანია „ევრო-პაკმა" მოჰკიდა. სტადიონის მეორე იარუსის რვა სექტორზე ძველი, ხის სკამები უკვე აყრილია და ბეტონიც დასხმულია, თუმც პრობლემა სხვაგან შეიქმნა. თუ სად, ამას ტარიელ ხიზანეიშვილთან ინტერვიუში შეიტყობთ...

— სამშენებლო ნაწილში უპრობლემოდ მივიწევთ წინ. უკვე ძველი სკამებიც ავილეთ და ბეტონიც ჩავასხით, მაგრამ ბეტონმა რომ მაქსიმალური სიმკვრივე მიიღოს, 28 დღე სჭირდება. ამის შემდეგ დაიწყება ინდივიდუალური სკამების დამონტაჟება.

— ესე იგი, სადღეისო მდგომარეობით კმაყოფილი ხართ?

— საქმე ისაა, რომ ვითარება შეიცვალა. ქომაგთა ლიგამ მოითხოვა, ინდივიდუალური სკამების შემოსატანად ტენდერი გამოცხადდეს. ამ საკითხის გასარჩევად დღეს საკრებულოს სხდომა გაიმართა და გადაწყდა, რომ სკამებს კეთილმოწყობის სამსახური კი არა, ტენდერში გამარჯვებული კომპანია შემოიტანს.

— გამოდის, 25 ნოემბრამდე ეს საქმე არ დამთავრდება...

— 28 დღის განმავლობაში ისედაც ვერ დავიწყებდით სამუშაოებს. ახალდასხმულ ბეტონზე ფეხის დადგმაც კი აკრძალულია.

— ანუ ვადამ გადაიწია?

— რა გითხრათ... საკრებულოს გადაწყვეტილებამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ახლა ტენდერის ჩატარებას ველით.

— სკამების ფერიც ხომ არ შეიცვალა?

— არა, სკამები ლურჯი ფერის იქნება და ამას წყალი არ გაუვა.

**კახა შალამბერიძე**

# ხიზანეიშვილმა აშვეთია-ასათიანს საქმე გაუკეთა

რუსეთის ჩემპიონატის დასრულებას ერთი ტური უკლია. აშვეთია-ასათიანის „ლოკომოტივი" პირველ ადგილზეა და ერთი ქულით უსწრებს ცსკა-ს, რომელმაც წინა ტურში ოთარ ხიზანეიშვილის მოსკოვის „დინამოს" ვერ მოუგო — 0:0. „დინამო" კი კვლავაც გასავარდნ ზონაშია, თუმც ბოლო ტურში ფრეც ჰყოფნის პრემიერლიგაში დასარჩენად. ხიზანეიშვილს გუშინ დავურეკეთ მოსკოვში და ჯერ იქაურ ამბებზე დავეკითხეთ...



ოთარ ხიზანეიშვილმა (მარჯვნივ) მოსკოველ არმიელებთან ხელდახელაც იბრძოლა

— ცსკა-სთვის თქვენთან თამაშს ოქროს ფასი ჰქონდა, მაგრამ ვერ მოიგო — როგორი თამაში იყო?

— ეს მატჩი ჩვენთვისაც არანაკლებ პრინციპული იყო, ჩვენი პრემიერლიგაში დარჩენა-არდარჩენის საკითხი კვლავაც არაა გადაწყვეტილი. თანაბარი თამაში წავიდა, საგოლე მომენტები „დინამოსაც" ჰქონდა და ცსკა-საც.

— ამ თამაშის მერე ცსკა-ს „ლოკომოტივმა" გადაასწრო და როგორ ფიქრობ, საჩემპიონო შანსები ახლა უფრო რომელ გუნდს აქვს?

— ვფიქრობ, ჩემპიონი „ლოკომოტივი" გახდება.

— „დინამო" ახლახან ოლეგ რომანცევმა ჩაიბარა. როცა მოსკოვის „სპარტაკში" თამაშობდი, მაშინაც გუნდს რომანცევი წვრთნიდა და „სპარტაკში" ფეხი ვერ მოიკიდე — რომანცევთან კვლავაც ხომ არ შეგექმნება პრობლემები?

— არ ვიცი, ვნახოთ, ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურადაა. რომანცევთან „სპარტაკშიც" არ მქონია კონფლიქტი, უბრალოდ, მაშინ დუბლებში ვთამაშობდი და ძირითადში თამაში არ მიწევდა. მოკლედ, რაღაც დიდი პრობლემა მაშინ ამ მწვრთნელთან არ შემქმნია.

— მოსკოვის „დინამოში" გატარებულმა სეზონმა რა შეგძინა? თბილისის „დინამოდან" რომ წახვედი, ეს შენთვის უკეთესი გამოდგა?

— მოსკოვის „დინამოში" თამაშს ჩემთვის განსაკუთრებული არაფერი მოუცია, თუმც კარგი იყო, რომ ტრავმებს არ შევუწუხებივარ. ალბათ ჯობდა, რომ თბილისიდან არ წამოვსულიყავი. მომდევნო სეზონისთვის ახალი ფეხბურთელებით გაძლიერებას ვაპირებთ, მწვრთნელად კი ალბათ რომანცევი დარჩება.

— ნაკრებზეც ვთქვათ. უკრაინასთან მარცხს რას დააბრალებდი?

— კარგი თამაში ვაჩვენეთ, მაგრამ საგოლე მომენტები ბევრი არ შეგვიქმნია და რაც გვქონდა, ვერ გამოვიყენეთ, ბოლო, გადამწყვეტ მომენტში, კარგად ვერ ვმოქმედებდით, რაღაც გვაკლდა, მათ შორის იღბალიც.

— ახლა კი დანიასთან გველის მატჩი — თითქმის ყველა ისე თვლის, რომ დანია ჯგუფში საუკეთესო გუნდია...

— არ ვიცი, დანია ჯგუფში ყველაზე ძლიერია თუ არა, ჩვენთვის სულ სხვა რამეა მთავარი — მოგება.

**დავით თავართქილაძე**



# ხიმკელი სტახანოველები

## ლომაიას შვებულება დააავიწყეს

საქართველოს ნაკრებისა და რუსული პირველი დივიზიონის „ხიმკის" მეკარემ გიორგი ლომაიამ ტრავმის შემდეგ ჩვეული სათამაშო ფორმა რომ აღიდგინა, სეზონიც მაშინ დაუმთავრდა. თუმც წინ სანაკრებო შესარჩევი მატჩია, 17 ნოემბერს საქართველო დანიას მასპინძლობს. ჩვენი ეროვნული გუნდის თავკაცი ალენ ჟირესი საამმატჩოდ გამოძახებულ ფეხბურთელთა სიას ხვალ კი გაამხელს, მაგრამ უკვე ვიცით, რომ რჩეულთა შორის გიორგი ლომაიაც იქნება

— პირველ დივიზიონში ჩემპიონატი მორჩა, მაგრამ გუნდი ისევ ვარჯიშობს, ასე რომ, 13 ნოემბერს თბილისში ნაკრების შეკრებაზე სრულ მზადყოფნაში ჩამოვალ — გვითხრა გიორგი ლომაიამ.

— ესე იგი, ნაკრებში გამოძახებული ყოფილხარ.

— კი, ორიოდ დღის წინ გამომიძახეს.

— სათამაშო ფორმა სრულად აღიდგინე?

— ბოლო რამდენიმე მატჩი ძირითადში ვითამაშე და თავს ვატყობ, ძველებურ ფორმაში შევდივარ. თუმცა, სეზონიც მაშინ დამთავრდა, როცა დღითი-დღე უკეთ ვთამაშობდი. ისე კი, ახლაც არა მიშავს, ყოველ შემთხვევაში, „ხიმკის" მეკარეთა მწვრთნელი კრაკოვსკი ჩემი მომზადებით კმაყოფილია.

— ნაკრების შეკრებაზე ჩამოხვალ და შვებულებასაც აქ გაატარებ?

— არა, დანიასთან მატჩის შემდეგ ისევ ხიმკიში უნდა დავბრუნდე. ახალი სეზონისთვის მზადებას დეკემბრის დამდეგს ვიწყებთ, შვებულება, ფაქტობრივად, არ გვაქვს. პირდაპირ შეკრებაზე მივდივართ.

— ახალი სეზონისთვის „ხიმკის" დატოვებას ხომ არ აპირებ?

— არა, „ხიმკის" საკუთრება ვარ და თუ თავად კლუბმა არ მოინდომა ჩემი გასხვისება, წასვლის უფლება არ მაქვს. „სპარტაკიდან" „ხიმკიში" ხომ მოსკოველთა ექს-პრეზიდენტს ანდრეი ჩერვიჩენკოს წამოვყევი.

— „ხიმკის" ახალ მწვრთნელ პაველ იაკოვენკოსთან ნორმალური ურთიერთობა გაქვს?

— ყველაფერი კარგადაა. ტრავმის შემდეგ როგორც კი გამოვჯანმრთელდი, მწვრთნელმა მაშინვე ძირითადში დამაყენა, თუმც იაკოვენკომ ისიც იცის, მეტი რომ შემიძლია. მისგან ყურადღება არ მაკლია და მეც უფრო მონდომებული ვარ.

**კობა ინასარიძე**

# შპატიმზმლი

გაჭირვება აქ არაფერ შუაშია, ეს, მეტი რომ არ იქნება, ისეთი არაკაცობაა. ერთმა თახსირმა, გვარ-სახელიც რომ არ გინდა თქვა, ჯერჯერობით უცნობ თანამზრახველთან ერთად გუშინ დიდი მიხეილ მესხის საფლავი გაქურდა.

ქართული ფეხბურთის მეფის, ქართველთა მარადი სიამაყის ხსოვნა მთელი ცხოვრება პირში საფურთხებელმა მართლა ვიგლაცებმა შეურაცხჰყვეს — მისი საფლავიდან ბრინჯაოს ბურთის ქანდაკება მოიპარეს და ჯართის მიმღებ პუნქტში 40 დოლარად ჩააბარეს...

ერთი სულით და ხელით მრუდი გუშინვე დააკავეს, სასაფლაოს აღდგენა კი თბილისის მერიამ ითავა.

**კახა შალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლივერპულს დიდი კაპიტანი მოუკვდა

*57 წლისა გარდაიცვალა ემლინ ჰიუზი, კაპიტანი იმ დიადი „ლივერპულსა“, 70-იანი წლების საფეხბურთო ევროპა რომ დაიპყრო.*





ჰიუზი, 1967 წელს, ჯერ კიდევ სკოლის მოწაფე იყო, როცა ბილ შენკლიმ 65 ათას გირვანქად გამოართვა „ბლეკპულს“. ეს იმ დროს სარეკორდო თანხა იყო ცენტრალური მცველისთვის, მაგრამ ამ უწლოვან ბიჭს უკვე ეთამაშა 30 მატჩი უმაღლეს დონეზე.

ჰიუზმა 1984 წლამდე ითამაშა ფეხბურთი, მერე კი ჰყვებოდა სახალისო ისტორიას, რომელიც მას და ბილ შენკლის, ამ გენიალურ კაცსა და მენეჯერს გადახდათ: შენკლიმ თავისი მანქანით წაიყვანა ყმაწვილი ბლეკპულიდან და გზად ინსპექტორებმა გააჩერეს სიჩქარის გადამეტებისთვის.

შენკლი პოლიციელებს მიეჭრა და შესძახა: „კარგად დააკვირდით, ვინ ზის ამ მანქანაში!.. არა, მე არა — და მან სალონისკენ გაიშვირა თითი — შეხედეთ ინგლისის ნაკრების მომავალ კაპიტანს!“

ჰიუზს ლივერპულში „შეშლილი ცხენი“ შეარქვეს. ჯერ განაპირა მცველად ჰყავდათ, მერე კი ცენტრს დაუბრუნეს. იქვე აღმოჩნდა ის, რაც ადრე მხოლოდ შენკლის შეეძლო დაენახა: ემელინს თამაშის კითხვის გასაოცარი უნარი და პასის მაღალი კულტურა აღმოაჩნდა.

სწორედ ჰიუზი გამოდგა ევროპის დაპყრობის ლერძი შენკლის გეგმაში. დიდ მწვრთნელს მიაჩნდა, რომ თუ „ლივერპულს“ მსოფლიო სახელი უნდა, ძველ ინგლისურ რამეებზე უარი უნდა თქვას. მაგალითად, ცენტრალური მცველის ტრადიციულ როლზე (ინგლისელი მცველისთვის ბურთი იშვიათი საჩუქარი იყო თამაშში, ის ძირითადად ორთაბრძოლებზე მუშაობდა) და რახან ჰიუზი ჰყავს, შეტევები სწორედ ამ მცველმა უნდა დაიწყოს გრძელი პასით. ანუ ემლინ ჰიუზი დღევანდელი საყრდენი ნახევარმცველის ძველ და პირველ იერსახედ იქცა.

მერე „ლივერპულმა“ ერთბაშად მოიგო სამი ტიტული: ქვეყნის თასი, ჩემპიონობა და უეფას თასი. აი, ახალი სეზონიდან კი ჰიუზი კაპიტანი შეიქნა. თუმცა, ამას გვარიანი ინტრიგა მოჰყვა, ფეხბურთელებს კაპიტნად კვლავ ტომი სმიტი მიაჩნდათ, რომელიც შენკლისთან ნაჩხუბარი იყო. სმიტის და ჰიუზის მტრობა ათწლეულებს გადასწვდა. მანამდე კი მოულოდნელად გადადგა შენკლი, მისმა შემცვლელმა, ბობ პეისლმი კი კვლავ ჰუიზი დანიშნა. ჰუიზი პეისლის შვილობილად ვერ ჩაითვლებოდა (ის უფრო შენკლის შვილობილი იყო), მაგრამ სწორედ ახალი მენეჯერის ხელში შეიქნა ის გუნდის ლიდერი. მისი მოულოდნელი, ემოციური თამაში, წამყვანი როლი, ფანებს შორის მეფედ აღიარებდა. მერე იყო ლამის მუდმივი ჩემპიონობა, უეფას თასი, ჩემპიონთა თასი... ჰიუზი წლის ფეხბურთელად გამოცხადდა... და ამ დროს გამოჩნდა კენი დალგლიში — ის ვინც ახალი ლიდერი უნდა შექმნილიყო.

32 წლის ჰიუზი „ვულვზში“ გადავიდა. მან 665-ჯერ ითამაშა „ლივერპულში“ და 48 გოლი გაიტანა, თუმცა ეს ყველაფერი ცოტაა იმის აღსაწერად, რასაც ემლინი „ლივერპულისთვის“ წარმოადგენდა.

**ირაკლი გემყრელიძე**

# კასანოს ბოდიში უშველის
## დე როსის მანჩესტერში ეძახიან



ანტონიო კასანო

გავრცელდა ხმა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ 17 მილიონ გირვანქად რომაელი ახალგაზრდის, დანიელე დე როსის ყიდვას აპირებს, „რომას“ მწვრთნელი ლუიჯი დელ ნერი კი თურმე ანტონიო კასანოსთან ურთიერთობის მოგვარებას კიდევ ერთხელ ცდილობს, ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთელს შანს აძლევს.

„ჯალოროსის“ ბანაკიდან ადრე იმას იტყობინებოდნენ, რომ კლუბმა ტელეკომპანია „სკაი იტალიასთან“ გააფორმა ხელშეკრულება, რაც, ცხადია, შემოსავალს ნიშნავს, მაგრამ როგორც ჩანს, ამან პრობლემები ბოლომდე ვერ ამოწურა და ნიჭიერ ფეხბურთელთა გაყიდვა ჯერ კიდევ აუცილებლობად რჩება.

ერთი სიტყვით, იმ დანიელე დე როსიზეა საუბარი, რომელიც „რომას“ სკოლის აღზრდილია და რომელმაც წლეულს 21-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონის ტიტული და ოლიმპიური თამაშების ბრინჯაო მოიპოვა, შემოდგომაზე კი „სკუადრა აძურას“ წევრი გახდა.

ამბობენ, რომ მანჩესტერელთა მწვრთნელმა, ალექს ფერგიუსონმა დე როსის ამბავი ჯერ კიდევ სექტემბერში იკითხა, მაგრამ ფეხბურთელი მაშინ რომაელებთან 2009 წლამდე კონტრაქტზე აწერდა ხელს და ამიტომ მანჩესტერელი გოლიათი გაჩერდა, თუმცა ახალგაზრდა ნახევარმცველმა შემდგომაზე ისე ძლიერად ითამაშა, რომ სერ ალექსს ისევ მოაწონა თავი.

რაც შეეხება დელ ნერისა და ანტონიო კასანოს ამბავს, „რომას“ მწვრთნელმა, ლუიჯი დელ ნერიმ ამაზე ასე ბრძანა:

„ჩემი აზრით, ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. შეცდომის აღიარება სირცხვილი არ არის, პირიქით, იმას ამტკიცებს, რომ კაცი ხარ. ადამიანი მაშინ იწყებ გაძლიერებას, როდესაც საკუთარი შეცდომების აღმოჩენას ახერხებ“.

**პაპუნა ბედია**



დანიელე დე როსი



ფილ ნევილი



ტიმ ჰოვარდი

# ბიჭები ბუზღუნებენ
## ფერგიუსონს ჰოვარდი და ფილ ნევილი აუჯანყდნენ

„მანჩესტერის“ ორმა ფეხბურთელმა მენეჯერ ალექს ფერგიუსონს შეუტია.

რით მთავრდება ხოლმე ასეთი ამბები, ყველამ კარგად იცის, მაგრამ მეკარე ტიმ ჰოვარდსა და ფილ ნევილს სკამზე ჯდომა მობეზრდათ.

ჰოვარდი, რომელიც რამდენიმე შეცდომის გამო დასვეს სკამზე, ამბობს: „ვიცი, რომ მეკარე განტევების ვაცია. ყოველთვის ვაღიარებ ჩემს შეცდომებს, მაგრამ მე თამაში არ წამიგია. მოედანზე თერთმეტნი ვართ. უარესი შეცდომები შეუმჩნეველი რჩება, მე კი სკამზე ვზივარ და, მგონი, სამუდამოდ ვშორდები ძირითად შემადგენლობას“. ფილ ნევილი კი, რომელმაც ზაფხულში მოაწერა ხელი ახალ, 5-წლიან კონტრაქტს, სამ თვეში მხოლოდ 3-ჯერ მოხვდა სასტარტოში: „ბოლოს „არსენალთან“ და „პორტსმუთთან“ ვითამაშე და მეგონა, რომ კარგახნით მოვხვდი იქ. ახლა კი კვლავ სკამზე ვარ და მხოლოდ თასზე თუ მათამაშებენ. არადა, არც ტრავმა მაწუხებს და არც ვარჯიში გამიცდენია“.

# სიყვარულით გერეროსგან



გერერომ „ბაიერნისთვის“ თასზეც გაიტანა

## გერმანია

### თასის მერვედფინალი

**არმინია 4:0 კარლსრუე**
1:0 შკელა (4), 2:0 დამაიერი (50ფ), 3:0 ბაკლი (55), 4:0 შკელა (72)

**ბაიერნი (მ) 3:2 ბრაუნშვაიგი**
1:0, 2:0 პ. გერერო (53, 58), 3:0 ზელმერი (63), 3:1 ბიკი (70), 3:2 გრაფი (74)

**ჰანოვერი 1:0 დორტმუნდი**
1:0 ს. შრიოტერი (59)

**ვერდერი 3:1დ.დ.(1:1) ტრირი**
1:0 დ. იენსენი (5), 1:1 ლაბაკი (57), 2:1 დ. იენსენი (105), 3:1 კლასნიჩი (120)

მიუნხენის „ბაიერნის“ მოყვარულთა გუნდი თასის მეოთხედფინალში პაულუ გერეროს კარგი თამაშის წყალობით გავიდა. 20 წლის პერუელმა, რომელმაც გასულ ტურში „ჰანოვერთან“ შეხვედრაში პირველი ბუნდესლიგური გოლი გაიტანა, ამჯერად ბრაუნშვაიგის „აინტრახტთან“ დუბლი შეასრულა. პერუელს საამისოდ ხუთი წუთი დასჭირდა, მესამე კი ზემლერმა მიითვალა. სამბურთიანი სხვაობით დაწინაურებულმა მასპინძლებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს და უმალ ორი საპასუხო გოლი მიიღეს — ბიკმა და გრაფმა ოთხ წუთში თითოჯერ გაუტანეს მიუნხენელ მოყვარულებს, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება და მატჩის დამატებით დროში გადაყვანა ვეღარ შეძლეს.

გერმანიის ჩემპიონი და თასის მფლობელი „ვერდერი“ შინ მეორებუნდესლიგელ „ტრირთან“ კინაღამ შერცხვა. დანიელ იენსენმა, რომელიც შეიძლება 17 ნოემბერს თბილისში დანიის ნაკრების შემადგენლობაში ვიხილოთ, მეხუთე წუთზე გახსნა ანგარიში. ტრირელმა ანტუან ლაბაკმა მეორე ტაიმის დასაწყისში გაათანაბრა, როცა ბრემენელთა საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და მეკარე რაინკე უშანსოდ დატოვა. ძირითადი დრო ასე დამთავრდა. დამატებულის პირველ ტაიმში კვლავ იენსენმა იყოჩაღა და „ვერდერი“ დააწინაურა, ხოლო შეცვლაზე შესულმა ივან კლასნიჩმა მესამე გაუტანა სტუმრებს.

ბერტ ვან მარვიიკისეული დორტმუნდის „ბორუსია“ მათიას ზამერის დროინდელ „ბორუსიასთან“ ახლოსაც ვერ მივა. ჰოლანდიელი მწვრთნელის ხელში „შავ-ყვითლები“ საშუალო დონის გუნდად იქცნენ. ბუნდესლიგაში ცხრილის შუაში ყურყუტებენ, ახლა კი „ჰანოვერმა“ თასიდანაც დაიფრინა. მასპინძელმა სილვიო შროიტერმა მეორე ნახევარში გაუტანა დორტმუნდელებს, მატჩის მიწურულს კი ჰანოვერელმა კრისტიანსენმა პენალტი გააცუდა — ჩარჩოს აცილა, ხოლო 87-ეზე სტუმარმა ევერტონმა გააკეთა იგივე. ბილეფელდის „არმინია“ 1992 წლის შემდეგ მეოთხედფინალში პირველად გაძვრა. ერვინ შკელამ შეხვედრის დასაწყისშივე დააწინაურა დამხედურები, შემდეგ მსაჯმა მასპინძლებს ერთი გოლი თამაშგარის გამო არ ჩაუთვალა, მაგრამ მეორე ტაიმში „არმინიას“ სასარგებლოდ პენალტი დაინიშნა, რომელიც დამეიერმა გამოიყენა. დელრონ ბაკლიმ მალე მესამეც მიართვა სტუმრებს, ხოლო „კარლსრუეს“ რბევა შკელამ დაასრულა.

**ვაჟა ხუციშვილი**



აინტრახტელმა მიხაელ შტეგმაიერმა ბენჟამინ ზიგერტს ლამის კისერი მოატეხინა

## საფრანგეთი

### ლიგის თასის 1/16 ფინალი

**ლე ავრი 4:1 ლე მანი**
**მონპელიე 3:1 რეიმსი**
**სედანი 0:1 მონაკო**
**აიაჩო 0:2 კაენი**
**ბრესტი 1:2 სოშო**
**კლერმონი 0:0(პენ.5:4) ტულუზი**
**დიჟონი 2:1დ.დ.(1:1) ბორდო**
**მეცი 1:2დ.დ.(0:0) ბასტია**
**ნიცა 1:1დ.დ.(პენ.4:5, 1:1) ლანსი**
**ტრუა 1:3 სტრასბური**
**სენტ ეტიენი 3:1 კრეტეი**

# როლან კურბისის კუნძული ჩაიძირა

მეორედივიზიონელმა „დიჟონმა“, რომელმაც შარშან საფრანგეთის თასის ნახევარფინალშიც გააღწია, ლიგის თასიდან „ბორდო“ მოისროლა. ჰეიცმანმა მასპინძლები შესვენებამდე დააწინაურა, ხოლო სტუმარმა სოადემ მეორე ნახევრის დასაწყისში გაათანაბრა. დამატებული დროის ბოლო წუთზე მანიონემ „დიჟონის“ გამარჯვებისა გაიტანა და საქმე პენალტებამდე არ მიიყვანა.

„მეცი“ და „ბასტია“ ათი დღის წინ ჩემპიონატში შეხვდნენ ერთმანეთს და ის მატჩი მეცელებმა მოიგეს. ამჯერად შეხვედრის ძირითადი დრო უგოლოდ დასრულდა და კორსიკელებმა 95-ე წუთზე გახსნეს ანგარიში. ფაბრის ჟომ ტონი ვერელის პასით შეაგდო, ხოლო მოგვიანებით ვერელმა თავური დარტყმით მეორე მიაყოლა. მასპინძელმა გეიემ მალე კი გაქვითა ერთი, მაგრამ დარჩენილ დროში „მეცმა“ „ბასტიას“ ვეღარ გაუტანა.

„აიაჩოში“ დაბრუნებული როლან კურბისისთვის ლიგის თასის გათამაშება დასრულდა, რადგან კუნძულელებმა „კაენთან“ წააგეს. პირველი ტაიმის ბოლოს იოვიჩიჩმა, მეორის მიწურულს კი დეროინმა „აიაჩოს“ კარში ბურთი თითოჯერ შეაგდეს.

მეორე დივიზიონის „კლერმონი“ „ტულუზს“ შინ უგოლოდ დაუზავდა, მაგრამ პენალტების სერიაში აჯობა და მერვედფინალში გაძვრა.

„კრეტეის“ ფეხბურთელ ეკობონიოს სენტ ეტიენში იღბალმა მეორე წუთზე უგანა, რადგან ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. მასპინძელთაგან პიკიონმა და კარტერონმა მეორე ტაიმის ოცწუთიან მონაკვეთში იხეირეს, ხოლო „კრეტეიმ“ კავალიას წყალობით ერთი გაქვითა.

ჩემპიონატის ბოლო ექვს ტურში „მონაკოს“ თამაში არ მოუგია და გამარჯვების გემო სათასო მატჩში გაიხსენა. ხავიერ ერნესტო ჩევანტონის ერთი გოლი სტუმრად „სედანის“ დასამარცხებლად საკმარისი აღმოჩნდა.

„სედანის“ თანადივიზიონელი „ბრესტი“ „სოშოს“ მეოთხე წუთზე ფორესტის გოლით უგებდა, მაგრამ მეტიუმ შესვენებაზე გაათანაბრა, ხოლო ზაირიმ შეხვედრის დამატებით დროში გადაყვანა არ ინება, რადგან მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე ბრესტელები დაამწუხრა.

**ვაჟა ხუციშვილი**



ნიცელ ტრაორეს „ლანსის“ მეკარე შარლ იტანჟემ თავზე ხელები წააშენინა

# ტაკინარდის კამპ ნოუზე ელიან

ამბობენ, რომ „იუვენტუსი“ „ბარსელონას“ ალესიო ტაკინარდის მიყიდვას დაპირდა. ეს ამბავი იანვრის „სატრანსფერო ფანჯრის“ დროს მოხდება.

როგორც გაირკვა, ტაკინარდი „ბებერი ქალბატონის“ ახალი მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს გეგმის ნაწილი არ არის და ამიტომ მის ტურინიდან წასვლაში გასაკვირი ნამდვილად არაფერია. როგორც სერია A-ს გასულმა ტურებმა გვაჩვენა, კაპელოსთვის, წინა წლებში „იუვეს“ ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი, ტაკინარდი, ემერსონის, მანუელე ბლაზის და სტეფან აპიას შემდეგ მეოთხეა, „კამპ ნოუზე“ კი ამასობაში ნახევარმცველთა კრიზისია.

შეგახსენებთ, რომ „ბარსელონა“ „რომასგან“ ოლივიე დაკურის ყიდვას ცდილობდა, მაგრამ ბოლოს გაარკვია, რომ მისთვის მისაღებ ვარიანტზე უფრო „იუვენტუსი“ წამოვიდა.

„იუვენტუსი“ ის გუნდია, რომელიც „ბარსელონასთან“ ჩინებულ ურთიერთობაშია. გეხსომებათ, „ბებრი ქალბატონისგან“ კატალონიელებმა შარშან ზამთარში ედგარ დავიდსი ინათხოვრეს.

დავძინოთ: „ბარსას“ ინტერესი შესაძლოა შეეხოს „ლეჩეს“ ახალგაზრდა კრისტიან დანიელ ლედესმას და ინტერელ კრისტიანო ძანეტისაც.

**პაპუნა ძიძია**



*ჯოკერივით შემოაგდო ევროპული პრესის ერთმა ნაწილმა გუშინდელი ცნობა იმის თაობაზე, რომ „ჩელსისგან“ შერისხული რუმინელი თავდამსხმელი, თავის კოკაინით გამოთაყვანებაში მხილებული ადრიან მუტუ ტურინის „იუვენტსმა“ იყიდაო. მაგრამ გუშინ ისიც ითქვა, თუ ანტონიო კასანოს გაყიდვას გადაწყვეტს, მუტუს „რომა“ იყიდის და ეს ამბავი, ზაფხულში მოხდებაო — მუტუს ხომ ნარკოდისკვალიფიკაცია მაისში გაუვა.*

# იუვემ მუტუ დაადასტურა

## ანჩელოტის ჯილარდინო საახალწლოდ არ სჭირდება



თუმც იტალიურმა გაზეთებმა გუშინვე გვაუწყეს, რომ რუმინელი უკვე ტურინშია, „იუვენტუსი“ — „ფიორენტინას“ მატჩსაც დაესწრება და „ბებერი ქალბატონის“ მალალჩინოსნებთან კონტრაქტის დეტალებს დააზუსტებსო. მუტუთი დაინტერესება და მასთან საქმის დაჭერა „იუვემაც“ დაადასტურა. ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ იტალიაში მუტუ მილებული კაცია, „ვერონასა“ და „პარმაში“ თამაშობდა.

ამასობაში, „მილანის“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ მხარი აუბა თავის ვიცე-პრეზიდენტს, ადრიანო გალიანის და დაადასტურა, რომ „შავწითლები“ იანვარში პარმელი ალბერტო ჯილარდინოს ყიდვას არ აპირებენ.

„ძალიან კარგად ვგრძნობთ თავს, საახალწლოდ ახალი ფორვარდი არანაირად არ გვჭირდება. თუ მაინცდამაინც ჯილარდინოს ამბავი გაინტერესებთ, პირდაპირ გიპასუხებთ, რომ ეს ტყუილია“.

**პაპუნა ძიდია**

# წამალ და დამიქარგები

## ლა ვოლპე მექსიკას მეოთხედ დაემუქრა

*მექსიკის ნაკრების მწვრთნელი, რიკარდო ლა ვოლპე ისევ იმუქრება, თანამდებობიდან გადავდგებიო. ეს უკვე მეოთხე შემთხვევაა. ამჯერად, არგენტინელმა სპეციალისტმა იგრძნო, რომ მექსიკაში პირველი ვიოლინოს როლს იქაური ბობოლა კლუბები ასრულებენ, ეროვნული გუნდი კი მეორეხარისხოვანია.*

„წლის დასაწყისში მითხრეს, რომ ნაკრები პრიორიტეტული გუნდი იქნებოდა, მაგრამ ვერანაირ პრიორიტეტს ვერ ვხედავ — განაცხადა ლა ვოლპემ — ამაში, წლეულს, დარჩენილი სამი მატჩის შემხედვარე თავად დარწმუნდებით“.

ლა ვოლპე უპირველეს ყოვლისა მექსიკის ჩემპიონმა, „უნამმა“ გააბრაზა, როდესაც თავდამსხმელ ფრანსისკო ფონსეკაზე სთხოვა, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში სენტ კიტსის და ნევისის ნაკრებთან თამაშის ნაცვლად დამიტოვე და ადგილობრივ შეხვედრაში გამოვიყენებო. ცნობისთვის, ხსენებულმა ფონსეკამ ოქტომბერში, ეკვადორთან 2:1 გამარჯვებისას ორივე გოლი შეაგდო.

„მექსიკის ფეხბურთის ფედერაციამ ზუსტად უნდა მითხრას, რას აპირებს შემდგომ წელიწადს, თორემ გამოვა, რომ მე შეუძლებელის შეძლებაზე უნდა დავყაბულდე“ — დასძინა ნაკრების თავკაცმა.

განმარტებისთვის: შეხვედრა, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ, წესით აგვისტოში უნდა გამართულიყო და ამიტომაც ემთხვევა მექსიკის ჩემპიონატის ტურს, თან, აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში მექსიკელები მხოლოდ ტექნიკური თვალსაზრისით არიან მასპინძლები, ვინაიდან გეოგრაფიულად თამაში მაიამიზე ანუ აშშ-ში გაიმართება. გარდა ამ მატჩისა, მექსიკელებს ოთხშაბათს სან ანტონიოში გვატემალასთანაც აქვთ ამხანაგური შეხვედრა დაგეგმილი.

მექსიკის ნაკრები 12 ქულით უკვე გასულია ჯგუფიდან, მაგრამ ლა ვოლპე აცხადებს, რომ ეს, თუნდაც სატურნირო თვალსაზრისით უმნიშვნელო მატჩები მისთვის ფეხბურთელების შეთამაშების ჩინებული საშუალებაა.

ლა ვოლპე 1978 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინის ნაკრების მეორე მეკარე გახლდათ. რაც შეეხება გადადგომის შესახებ მის წინა მუქარებს, მათ შორის საინტერესო, მაგალითად, გახლდათ მუქარა პერუში მიმდინარე „კოპა ამერიკის“ დღეებში და მუქარა ათენის ოლიმპიადის დროს, სადაც მექსიკელები პირველივე ეტაპიდან გამოვარდნენ.

**პაპუნა ძიდია**






**ესპანური** „რეალის“ პრეზიდენტი, ფლორენტინო პერესი ადასტურებს, რომ მისი გუნდი იტალიაში მოთამაშე რამდენიმე ფეხბურთელით სერიოზულად არის დაინტერესებული. კერძოდ, „სამეფო კლუბს“ „რომას“ ხულიგან ფორვარდ ანტონიო კასანოს მომავალ ზაფხულს გადაბარგება ძალიან სურს, თუმც, „რეალის“ მმართველებს მილანის „ინტერის“ ბრაზილიელ ფორვარდ ადრიანოსთვისაც დაუდგამთ თვალი.

**ინგლისური** „არსენალის“ ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ედუმ სერიოზული ტრავმა მიიღო. ლიგის თასზე, „ევერტონთან“ მატჩში მან ფეხი მოიტეხა და ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენი ხნით ჩამოშორდა ფეხბურთს. არადა, სამხრეთამერიკელი ფეხბურთელით რამდენიმე გრანდი იყო დაინტერესებული: „მან მართლაც მძიმე ტრავმა მიიღო, ედუმ ჩინებულად ითამაშა, მაგრამ ფეხი მოსტყდა, რაც ძალიან სამწუხაროა“ — აღნიშნა „მეთოფეთა“ თავკაცმა არსენ ვენგერმა.

**გერმანული** „ვოლფსბურგი“ მადრიდის „რეალის“ ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაინტერესდა — სურს იანვარში „სამეფო კლუბის“ მცველი ალვარო მეხია ან სულ გადაიბიროს, ანაც ითხოვოს. გერმანული კლუბის სკაუტებმა თვალი „რეალის“ დუბლების მცველ ხავიერ პარელესსაც დაადგეს. მხარეებმა უკვე დაიწყეს მოლაპარაკება.

**არგენტინელმა** ნახევარმცველმა მატიას ალმეიდამ სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. გამოცდილმა ფეხბურთელმა იტალიურ „ბრეშასთან“ კონტრაქტი გაწყვიტა. ალმეიდამ საბოლოო გადაწყვეტილება მას მერე მიიღო, რაც „ბრეშას“ თავკაცმა ჯოვანი დე ბიაზიმ იგი „მილანთან“ გუშინდელი მატჩის განაცხადში არ შეიყვანა.

**ავსტრიული** „ტიროლის“ ახალ მთავარ მწვრთნელად ახლო წარსულში ცნობილი რუსი მეკარე სტანისლავ ჩერჩესოვი დაინიშნა. აღსანიშნავია, რომ ჩერჩესოვი კარიერის ბოლოს სწორედ ამ კლუბში თამაშობდა. სტანისლავ ჩერჩესოვს სამწვრთნელო გამოცდილება უკვე აქვს, მანამდე „ჰოფშტაინს“ წვრთნიდა.

**ინგლისის** ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის“ ყოფილი მცველის, ტონი ადამსის სამწვრთნელო დებიუტი წარუმატებელი გამოდგა. იგი დაახლოებით ერთი წელი წვრთნიდა ქვედალიგელ „უიკომბს“, ახლა კი გუნდიდან წამოსვლა გადაწყვიტა: „მსურს ყველას მადლობა გადავუხადო, ვისთან ერთადაც ამ ხნის მანძილზე ვიმუშავე. უდავოა, დიდი გამოცდილება მივიღე, მაგრამ კლუბის დატოვება პირადი პრობლემების გამო მიწევს“ — თქვა ადამსმა.

**იტალიური** „უდინეზეს“ მთავარი მწვრთნელის ლუჩანო სპალეტის თქმით, იანვარში ჩეხი ნახევარმცველი მარეკ იანკულოვსკი გუნდს დატოვებს. ამჟამად მისით „იუვენტუსი“, „ინტერი“ და „ტოტენჰემი“ არიან დაინტერესებულნი. „იანვარში მარეკი ერთ-ერთი მათგანის საკუთრება გახდება. იგი უკვე მზადაა მაღალი კლასის გუნდში სათამაშოდ“ — თქვა სპალეტიმ.

**ინგლისური** „მანჩესტერ სიტი“ სავარაუდოდ ფინელი ნახევარმცველით, ტეემუ ტაინიოთი გაძლიერდება. ბრიტანული პრესის ცნობით, მხარეებმა უკვე მიაღწიეს წინასწარ შეთანხმებას. აღსანიშნავია, რომ „ოსერის“ ფეხბურთელით „ბლექბერნი“, „ლივერპული“ და „ჩარლტონიც“ არის დაინტერესებული, თუმც ამბობენ, „სიტიმ“ საკმაოდ კარგი ფინანსური წინადადებით „ოსერიც“ მოხიბლა და ტაინიოცო.

**ესპანური** „რეალის“ ინგლისელი ნახევარმცველი დევიდ ბექემი პრიმერადივიზიონის მომავალ ტურში „ალბასეტეს“ წინაალმდეგ სავარაუდოდ ითამაშებს. ტრავმისგან მოკეთებულმა ვარჯიში სულ ახლახან დაიწყო, რათა „ელ კლასიკოს“ ანუ „ბარსელონასთან“ მატჩს სრულ მზადყოფნაში შეხვდეს.

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხოსე ანტონიო კამაჩომ ფლორენტინო პერესს ვერაფერი გაუგო

# კამაჩოს ზურგში სიტყვა ესროლეს

## რა მოხდა სინამდვილეში?

მადრიდის „რეალის" ყოფილმა მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ გუდას პირი მოხსნა და გუნდიდან წასვლის მიზეზი გააცხადა: „პრეზიდენტისთვის მაიკლ ოუენის ყიდვა არ მითხოვია. ვუთხარი, რომ კიდევ ერთი ფორვარდის დამატება გუნდს არ სჭირდებოდა. ჩვენ საყრდენი ნახევარმცველი გვსურდა და რამდენიმე ფეხბურთელი შევარჩიეთ. მათ შორის იყვნენ ხაბი ალონსო, პატრიკ ვიეირა და ემერსონი".

კამაჩომ თქვა, რეალელ ვარსკვლავბიჭებს ველარ ვაკონტროლებდი და ამიტომაც გავშორდიო. „მე მსურდა, ჩემს გემოზე ამეწყო კარგად ორგანიზებული და დისციპლინირებული გუნდი, მაგრამ ვერ შევძელი. პრეზიდენტმა ერთი თხოვნაც კი არ შემისრულა. მაგალითად, ვუთხარი, რომ უკეთესი იქნებოდა, ბიჭებს ბაზაზევე ესაუზმათ და შუადღის მერე ევარჯიშათ, მაგრამ ყური არ მიგდო. სათითაოდ ყველა ფეხბურთელთან თავიდან კარგი ურთიერთობა მქონდა, თუმც სექტემბერში სიტყვა-პასუხი გაგვიძვირდა. მივხვდი, რომ ისინი პირსუკან, უფროსობასთან ჩემზე ზუზუნებდნენ. გასახდელში, მწვრთნელთა და ფეხბურთელებს შორის ნაუბარი გარეთ არ უნდა გადიოდეს, მაგრამ „რეალში" ასე არ მოხდა, ამიტომაც წავედი. არა მგონია, ამ გუნდში ოდესმე დავბრუნდე".

ვაჟა ხუციშვილი

## ამხანაგური მატჩი. 17 ნოემბერი

### საფრანგეთი – პოლონეთი

### საფრანგეთი

*მეკარეები: ფაბიენ ბარტეზი (მარსელი), მიკაელ ლანდრო (ნანტი);*

*მცველები: ერიკ აბიდალი (ლიონი), სილვენ არმანი (პსჟ), ჟან-ალენ ბუმსონგი (რეინჯერსი, შოტლანდია), უილიამ გალასი (ჩელსი, ინგლისი), გაელ გივე (მონაკო), ვილი სანიოლი (ბაიერნი, გერმანია), სებასტიან სკილაჩი (მონაკო);*

*ნახევარმცველები: ლუდოვიკ ჟიული (ბარსელონა, ესპანეთი), ფლორენ მალუდა (ლიონი), რიო მავუბა (ბორდო), კამელ მერიემი (ბორდო), ბენუა პედრეტი (მარსელი), პატრიკ ვიეირა (არსენალი, ინგლისი);*

*თავდამსხმელები: პიერ-ალენ ფრო (ლიონი), სიდნეი გოვუ (ლიონი), ტიერი ანრი (არსენალი, ინგლისი), ლუი საა (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი)*

### პოლონეთი

*მეკარეები: ირჟი დუდეკი (ლივერპული, ინგლისი), არტურ ბორუკი (ლეგია);*

*მცველები: იაცეკ ბაკი (ლანსი, საფრანგეთი), მიხალ ჟევლაკოვი (ანდერლეხტი, ბელგია), ტომაშ რჟასა (ჰერენვენი, ჰოლანდია), ტომაშ ჰაიტო (ნიურნბერგი, გერმანია), ტომაშ კლოსი (ვისლა), მარჩინ ბაშჩინსკი (ვისლა);*

*ნახევარმცველები: რადოსლავ კალუჟნი (ლევერკუზენი, გერმანია), იაცეკ კრჟინოვეკი (ლევერკუზენი, გერმანია), კამილ კოსოვსკი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), მიროსლავ შიმკოვიაკი (ვისლა), დამიან გორავსკი (ვისლა), სებასტიან მილა (გროცლინი);*

*თავდამსხმელები: ჯუეგოჟ რასიაკი (დერბი ქაუნთი, ინგლისი), მაცეი ჟურავსკი (ვისლა), ტომაშ ფრანკოვსკი (ვისლა)*

# ნედვედმა, შევჩენკო

ევროპის 2003 წლის საუკეთესო ფეხბურთელის, ტურინის „იუვენტუსის" ჩეხი ნახევარმცველის, პაველ ნედვედის აზრით, წლეულს „ოქროს ბურთს" „მილანის" უკრაინელი ფორვარდი ანდრეი შევჩენკო იმსახურებს.

„ძნელი წარმოსადგენი კია, აღმოსავლეთევროპელი ფეხბურთელის ზედიზედ ორჯერ გაპირველება, თუმც შევაზე „ოქროს ბურთი ალალია. იტალიაში გოლის გატანა მეტად საძნელო საქმეა, ანდრეი კი ამას ძალიან იოლად ახერხებს, რაც მის დიდ კლასზე მეტყველებს"— უთხრა გუშინ ნედვედმა ფრანგულ „ფრანს ფუტბოლს", რომელიც, შეგახსენებთ, ამ გამოკითხვის თაოსანია.

ქვემოთ კი, იმ 50 ფეხბურთელს გაეცანით, რომლებიც „ფრანს ფუტბოლმა" „ოქროს ბურთის" კანდიდატებად დაასახელა.



ანდრეი შევჩენკო

## ოქროს ბურთი 2004

### „ფრანს ფუტბოლის" ორმოცდაათეული

| ფეხბურთელი | ქვეყანა | კლუბი |
|---|---|---|
| ადრიანო | ბრაზილია | ინტერი |
| აილტონი | ბრაზილია | შალკე |
| რობერტო აიალა | არგენტინა | ვალენსია |
| რუბენ ბარახა | ესპანეთი | ვალენსია |
| მილან ბაროში | ჩეხეთი | ლივერპული |
| ფაბიენ ბარტეზი | საფრანგეთი | მარსელი |
| დევიდ ბექემი | ინგლისი | რეალი |
| ჯანლუიჯი ბუფონი | იტალია | იუვენტუსი |
| პეტრ ჩეხი | ჩეხეთი | ჩელსი |
| ანგელოს ხარისტიასი | საბერძნეთი | ვერდერი |
| დეკო სოუზა | პორტუგალია | ბარსელონა |
| ტრაიანოს დელასი | საბერძნეთი | რომა |
| დიდიე დროგბა | კოტ დივუარი | ჩელსი |
| ემერსონი | ბრაზილია | იუვენტუსი |
| სამუელ ეტოო | კამერუნი | ბარსელონა |
| ლუიშ ფიგუ | პორტუგალია | რეალი |
| ლუდოვიკ ჟიული | საფრანგეთი | ბარსელონა |
| ტიერი ანრი | საფრანგეთი | არსენალი |
| ზლატან იბრაჰიმოვიჩი | შვედეთი | იუვენტუსი |
| ჟუნინიო პერნამბუკანო | ბრაზილია | ლიონი |
| კაკა | ბრაზილია | მილანი |
| მიხალის კაპსისი | საბერძნეთი | ბორდო |
| ფრენკ ლამპარდი | ინგლისი | ჩელსი |
| ჰენრიკ ლარსონი | შვედეთი | ბარსელონა |
| პაოლო მალდინი | იტალია | მილანი |
| მანიშე რიბეირუ | პორტუგალია | პორტუ |
| იოან მიკუ | საფრანგეთი | ვერდერი |
| მიგელ ანხელ მისტა | ესპანეთი | ვალენსია |
| ფერნანდო მორიენტესი | ესპანეთი | რეალი |
| პაველ ნედვედი | ჩეხეთი | იუვენტუსი |
| ალესანდრო ნესტა | იტალია | მილანი |
| ანტონის ნიკოპოლიდისი | საბერძნეთი | ოლიმპიაკოსი |
| ანდრეა პირლო | იტალია | მილანი |
| ხოსე ანტონიო რეიესი | ესპანეთი | არსენალი |
| რიკარდუ კარვალიუ | პორტუგალია | ჩელსი |
| რონალდინიო | ბრაზილია | ბარსელონა |
| რონალდო | ბრაზილია | რეალი |
| კრისტიანო რონალდო | პორტუგალია | მანჩესტერ იუნაიტედი |
| უეინ რუნი | ინგლისი | მანჩესტერ იუნაიტედი |
| ტომაშ როსიცკი | ჩეხეთი | დორტმუნდი |
| პოლ სქოულზი | ინგლისი | მანჩესტერ იუნაიტედი |
| კლარენს ზეედორფი | ჰოლანდია | მილანი |
| იურკას სეიტარიდისი | საბერძნეთი | პორტუ |
| ანდრეი შევჩენკო | უკრაინა | მილანი |
| ფრანჩესკო ტოტი | იტალია | რომა |
| რუუდ ვან ნისტელროი | ჰოლანდია | მანჩესტერ იუნაიტედი |
| ვისენტე ფერნანდესი | ესპანეთი | ვალენსია |
| პატრიკ ვიეირა | საფრანგეთი | არსენალი |
| თეოდორის ზაგორაკისი | საბერძნეთი | ბოლონია |
| ზინედინ ზიდანი | საფრანგეთი | რეალი |

# ...და ან ცაზე ვარსკვლავები
# ხოსე ლუის ჩილავერტი
# მდიდარი ღარიბი
## ქარიდანგასული ბულდოგი პარაგვაის ისევ დაიცავს

დასასრული.
დასაწყისი წინა „სარბიელში"

*ჩილავერტმა ფეხბურთის თამაშს თავი ისე დაანება, რომ ბევრისთვის სამარადჟამოდ ამოუხსნელ ამოცანად დარჩა. აბა, რით შეიძლება გავამართლოთ დანიელ პასარელას აპოლოგია და იმავდროულად მწვრთნელთა დიქტატურის სიძულვილი? ან, ვთქვათ ასე: განა ნორმალურია დიეგო მარადონას თან ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელს ეძახდე და თან ლანძღავდე, როგორც არგენტინის მთავარ ნარკომანს? შეიძლება ამბობდე, რომ კომუნისტები შენი მტრები არიან და თან აცხადებდე, რომ ძმობისა და საყოველთაო თანასწორობის მისაღწევად ძლიერი ხელია საჭირო? თუ კაცი აბორტს მკვლელობად მიიჩნევ, რატომ აცხადებ, რომ გაუპატიურების შემთხვევაში ფეხმძიმობის ასეთი გზით შეწყვეტა დაშვებული უნდა იყოს? თუ ცივ და ცეცხლსასროლ იარაღს აგროვებ, სროლა რატომ არ იცი?*



1999 წლის დასაწყისში ხოსე ლუისმა პრესასთან ურთიერთობა გაწყვიტა, ხოლო რამდენიმე არგენტინულ გაზეთს სასამართლოშიც უჩივლა. მიზეზი: მისი ამა თუ იმ ნათქვამის არასწორი ინტერპრეტაცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აზრის დამახინჯება, მკითხველამდე არასწორად მიტანა. მეორე მხრივ, სულო ცოდვილო და, ჩილავერტის სიტყვების დასამახინჯებლად მზაკვრული განზრახვა სულაც არ არის საჭირო, ეს შეიძლება უნებურად მოხდეს, რადგან იგი არასოდეს ფიქრობს იმაზე, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს მისი პირიდან ამოსული რომელიმე სიტყვა.

იმავე, 1999 წლის ზაფხულში, ჩილავერტმა კოპა ამერიკაზე არ ითამაშა, შეჯიბრების ერთ-ერთი ორგანიზატორი, პუტჩისტი გენერალი ლინო ოვიედოაო.

„ლინო ოვიედო ანტიდემოკრატია, რომელმაც ქვეყანა სისხლში აცურავა. მე არ შემიძლია მას მივესალმო ან მის გვერდით ვიმყოფებოდე, გადახვევაზე ხომ საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი, ჩვენი მთავრობა კი სკოლების და საავადმყოფოების ნაცვლად სტადიონებს აშენებს. ამ მთავრობამ ჩვენი ქვეყანა ბანანის რესპუბლიკად აქცია" — ამბობდა მეკარე.




ამის მერე, ბუენოს აირესის გარეუბანში მდებარე აეროპორტ „ესეისში" ბულდოგს შვიდი დანიანი კაცი დაესხა თავს. ჩილამ ხელით ღირსეულად გასწია წინააღმდეგობა — მერე წამოეშველნენ კიდეც — ხოლო მოგვიანებით ითქვა, რომ ეს თავდასხმა მის პოლიტიკურ შეხედულებებთან იყო დაკავშირებული. მართალია ეს თუ ტყუილი, ჩვენ ნამდვილად ვერ გეტყვით, თუმცა ის ფაქტია, რომ ინციდენტის შემდეგ ხოსე ლუისის მანქანაში, უკანა სკამზე ბეისბოლის კეტი გაჩნდა.

მოკლედ, ჩილას ჩხუბის და ასეთი რალაცეების არ ეშინია, მაგრამ გვარიანად ეშინია თვითმფრინავში ჯდომის და ზღვის. მიზეზი: თვითმფრინავში ყოველთვის თავი სტკივა, თან ძლიერად, ხოლო წყალში... ცურვა არ იცის და შესაბამისად დაიხრჩობა.

...ხოსე ლუის ჩილავერტს ძალიან უყვარს საყიდლებზე სიარული და რაც ყველაზე საინტერესოა, ყველაფერს ბევრს ყიდულობს. ამბობენ, რომ სახლში 60 სხვადასხვა ზომის ჩანთა აქვს და მაღაზიებში ამ ჩანთებით მიდის. ტოკიოში, „მილანის" წინააღმდეგ საკონტინენტთაშორისო თასზე თამაშის წინ ჩილავერტი გერმანულ „პუმას" 14 ათას დოლარად გაურიგდა — „პუმას" მაისურით ითამაშა — რის გარდაც ფირმისგან საჩუქრად 80 წყვილი მეკარის ხელთათმანი და ტანსაცმლით გატიკნილი სამი დიდი შეკვრა მიიღო. ამ საჩუქრის გამო „ველეს სარსფილდის"-წარმომადგენლებს [illegible] ტ[illegible] მოუწყდათ, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოახერხეს ისე, რომ მეკარის ავლადიდება ბუენოს აირესში ჩაიტანეს. იქ, არგენტინის დედაქალაქში კი ხოსე ლუისმა ხელთათმანები ახალგაზრდა, ქვედა დივიზიონების გუნდებში მოთამაშე კოლეგებს, ხოლო სამოსი უბრალოდ ღარიბებს დაურიგა.



აქვე ვთქვათ, რომ სამშობლოში ჩილავერტმა გარდაცვლილი მამის სახელობის ფონდი დააარსა და კურდღლის ტუჩით დაბადებულ ბავშვებს ეხმარება.

მოკლედ, ხოსე ლუისს ფული აურაცხელი აქვს — რვა ბინა ბუენოს აირესში და მამულები პარაგვაიში. ყოველ თვე დედამისს იმდენ დოლარს (თან მაინცდამაინც დოლარს) უგზავნის, რომ საბრალო ქალმა სად წაიღოს, არ იცის, აი, ძმებს კი ყველაფერს აუცილებლად ვალად აძლევს და ეუბნება, როდესაც დაბრუნების შნო გექნებათ, უეჭველად გამოგართმევთო.

ჰოდა, აყვირდნენ პარაგვაიში მავანნი, ჩილავერტის ქვეყნის პრეზიდენტად დასმა მოითხოვეს.

„პოლიტიკა? თუ გარშემო ყველა მხარს გიჭერს, ძალიან კარგი საქმეა. სიბინძურე კი მასშიც იგივეა, რაც ფეხბურთში. მოკლედ, თუ იქ თავს შევყოფ, პარაგვაის პრეზიდენტი გავხდები და დავეხმარები ადამიანებს, რომელთაც იციან, რომ ჩემი სიტყვა და საქმე ერთია. მე ფასეულობებით არ ვვაჭრობ".

**პაპუნა ქედია**

# სარბიელი და კროკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებზე გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 40 | საუთჰემპტონი-პორტსმუტი | 2.3 | 3.3 | 2.8 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 15:00 | 41 | ტოტენჰემი-არსენალი | 4.3 | 3.4 | 1.75 | 1.89 | 1.24 | 1.15 |
| 18:00 | 42 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 2.2 | 3.3 | 3.0 | 1.32 | 1.26 | 1.57 |
| 18:00 | 43 | ჩარლტონი-ნორვიჩი | 1.85 | 3.3 | 4.0 | 1.18 | 1.26 | 1.8 |
| 18:00 | 44 | ფულემი-ჩელსი | 4.7 | 3.4 | 1.7 | 1.97 | 1.24 | 1.13 |
| 18:00 | 45 | ლივერპული-კრ. პალასი | 1.4 | 4.0 | 7.4 | 1.03 | 1.17 | 2.59 |
| 18:00 | 46 | სიტი-ბლექბერნი | 1.85 | 3.3 | 4.0 | 1.18 | 1.26 | 1.8 |
| 20:15 | 47 | ბირმინგემი-ევერტონი | 2.4 | 3.3 | 2.65 | 1.38 | 1.25 | 1.46 |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 48 | ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო | 2.7 | 3.3 | 2.4 | 1.48 | 1.27 | 1.38 |
| 19:05 | 49 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 2.8 | 3.3 | 2.3 | 1.51 | 1.26 | 1.35 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 301 | ბარნლი-გინგემი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 18:00 | 302 | ქოვენთრი-პლიმუთი | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 18:00 | 303 | ჯილინგემი-დერბი | 2.5 | 3.2 | 2.5 | 1.4 | 1.25 | 1.4 |
| 18:00 | 304 | იფსვიჩი-ლიდსი | 1.7 | 3.4 | 4.8 | 1.13 | 1.25 | 1.99 |
| 18:00 | 305 | ლესტერი-სანდერლენდი | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 18:00 | 306 | პრესტონი-მილუოლი | 2.2 | 3.3 | 2.9 | 2.9 | 1.32 | 1.25 |
| 18:00 | 307 | ქპრ-უიგანი | 2.5 | 3.2 | 2.5 | 1.4 | 1.25 | 1.4 |
| 18:00 | 308 | რედინგი-კარდიფი | 1.7 | 3.4 | 4.8 | 1.13 | 1.25 | 1.99 |
| 18:00 | 309 | შეფილდი-უოტფორდი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 18:00 | 310 | სტოკი-ქრიუ | 1.85 | 3.3 | 3.9 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 18:00 | 311 | ვესტ ჰემი-ბრაიტონი | 1.45 | 3.7 | 7.0 | 1.04 | 1.2 | 2.42 |
| 18:00 | 312 | როტერჰემი-ვულვერჰემპტონი | 2.7 | 3.3 | 2.3 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 316 | კილმარნოკი-ჰართსი | 2.4 | 3.0 | 2.8 | 1.33 | 1.29 | 1.44 |
| 18:00 | 317 | მოზერუელი-დანდი | 2.0 | 3.2 | 3.4 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 18:00 | 318 | აბერდინი-დანფერმლაინი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 18:00 | 319 | სელტიკი-ინვერნესი | 1.15 | 6.5 | 1.24 | 1.0 | 1.0 | 1.04 |
| 18:00 | 320 | დანდი იუნაიტედი-ლივინგსტონი | 2.1 | 3.1 | 3.3 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 321 | ჰიბერნიანი-რეინჯერსი | 5.7 | 3.8 | 1.5 | 2.27 | 1.18 | 1.07 |
| | | **შოტლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 322 | ერდრი-კლაიდი | 3.2 | 3.4 | 2.0 | 1.64 | 1.23 | 1.25 |
| 18:00 | 323 | ჰამილტონი-ქუინი | 2.6 | 3.4 | 2.3 | 1.47 | 1.22 | 1.37 |
| 18:00 | 324 | პარტიკი-სტ.მირენი | 2.3 | 3.4 | 2.6 | 1.37 | 1.22 | 1.47 |
| 18:00 | 325 | რეითი-ფოლკირკი | 5.8 | 3.6 | 1.5 | 2.22 | 1.19 | 1.05 |
| 15:45 | 326 | სტ.ჯონსტონი-როსი | 1.8 | 3.6 | 3.6 | 1.2 | 1.2 | 1.79 |
| | | **შოტლანდია.მეორე დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 327 | ალოა-ბერიკი | 1.9 | 3.5 | 3.3 | 1.23 | 1.2 | 1.69 |
| 18:00 | 328 | არბროთი-ბრეჩინი | 4.7 | 3.5 | 1.6 | 2.0 | 1.19 | 1.09 |
| 18:00 | 329 | ფორფარი-ეარი | 2.4 | 3.5 | 2.4 | 1.42 | 1.2 | 1.42 |
| 18:00 | 330 | მორტონი-სტირლინგი | 2.0 | 3.4 | 3.2 | 1.25 | 1.23 | 1.64 |
| 18:00 | 331 | სტრანრარი-დამბარტონი | 1.6 | 3.7 | 4.6 | 1.11 | 1.18 | 2.05 |
| | | **შოტლანდია. მესამე დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 332 | ისტ სტირლინგი-ისტ ფაიფი | 3.2 | 3.4 | 1.9 | 1.65 | 1.19 | 1.21 |
| 18:00 | 333 | ელგინი-კოუდენბითი | 2.1 | 3.4 | 2.8 | 1.29 | 1.2 | 1.53 |
| 18:00 | 334 | გრეტნა-პიტერჰედი | 2.1 | 3.4 | 2.8 | 1.29 | 1.2 | 1.53 |
| 18:00 | 335 | მონტროუზი-ქუინზ პარკი | 1.8 | 3.5 | 3.5 | 1.18 | 1.18 | 1.75 |
| 18:00 | 336 | სტენჰაუზმური-ალბიონი | 1.7 | 3.5 | 3.9 | 1.14 | 1.18 | 1.84 |
| | | **გერმანია. პირველი ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 50 | ფრაიბურგი-არმინია | 2.3 | 3.4 | 2.7 | 1.37 | 1.24 | 1.5 |
| 17:30 | 51 | ჰანოვერი-მაინცი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 17:30 | 52 | კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი | 2.7 | 3.4 | 2.3 | 1.5 | 1.24 | 1.37 |
| 17:30 | 53 | მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი | 1.85 | 3.3 | 3.9 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 17:30 | 54 | შალკე-ჰერტა | 1.65 | 3.5 | 5.0 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 17:30 | 55 | ვერდერი-ლევერკუზენი | 1.85 | 3.2 | 4.0 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 17:30 | 56 | ვოლფსბურგი-შტუტგარდი | 2.5 | 3.3 | 2.5 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:30 | 57 | ბოხუმი-ბაიერნი | 4.5 | 3.5 | 1.7 | 1.96 | 1.23 | 1.14 |
| 19:30 | 58 | ჰანზა-ჰამბურგი | 2.5 | 3.3 | 2.5 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| | | **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 338 | ფიურტი-არმინია | 1.6 | 3.6 | 5.0 | 1.1 | 1.21 | 2.09 |
| 21:00 | 339 | მიუნხენი 1860 -ობერჰაუზენი | 1.7 | 3.5 | 4.3 | 1.14 | 1.21 | 1.32 |
| 21:00 | 340 | ერფურტი-ბურგჰაუზენი | 2.4 | 3.2 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 341 | ტრირი-აინტრახტი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 17:00 | 342 | ალემანია-ესენი | 1.6 | 3.6 | 5.0 | 1.1 | 1.21 | 2.9 |
| 17:00 | 343 | ალენი-დინამო | 1.8 | 3.4 | 3.9 | 1.17 | 1.23 | 1.81 |
| 17:00 | 344 | აუე-კარლსრუე | 2.05 | 3.2 | 3.3 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| | | **ავსტრია ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 364 | ბრეგენცი-შტურმი | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 20:00 | 365 | გრაცერი-ადმირა | 1.3 | 4.5 | 8.3 | 1.0 | 1.12 | 2.91 |
| 20:00 | 366 | ზალცბურგი-აუსტრია | 4.3 | 3.6 | 1.65 | 1.95 | 1.19 | 1.13 |
| 20:00 | 367 | ტიროლი-მატერსბურგი | 1.75 | 3.5 | 4.0 | 1.16 | 1.21 | 1.86 |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 368 | რაპიდი-პაშინგი | 1.85 | 3.3 | 3.7 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| | | **ავსტრია. პირველი დივიზიონი** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 374 | ალტახი-გრატკორნი | 1.8 | 3.3 | 3.9 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 21:00 | 375 | კაფენბერგი-უნტერზიბენბრიუნი | 1.15 | 6.0 | 12.5 | 1.0 | 1.05 | 4.05 |
| 21:00 | 376 | კერნტენი-რიდი | 2.05 | 3.1 | 3.3 | 1.23 | 1.26 | 1.59 |
| 21:00 | 377 | ლინცერნი-ლეობენი | 2.4 | 3.2 | 2.6 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 21:00 | 378 | ვიორგლი-აუსტრია(ლ) | 3.7 | 3.1 | 1.9 | 1.68 | 1.25 | 1.17 |
| | | **შვეიცარია სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 16:30 | 379 | ქსამაქსი-გრასჰოპერი | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| 16:30 | 380 | იანგ ბოიზი-აარაუ | 1.8 | 3.2 | 4.2 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 18:00 | 381 | ციურიხი-სერვეტი | 1.9 | 3.1 | 3.9 | 1.17 | 1.27 | 1.72 |
| 18:00 | 382 | სტ.გალენი-თუნი | 2.5 | 3.1 | 2.6 | 1.38 | 1.27 | 1.41 |
| 18:15 | 383 | შაფჰაუზენი-ბაზელი | 4.6 | 3.3 | 1.7 | 1.92 | 1.24 | 1.12 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 384 | ბადენი-ბელინცონა | 3.6 | 3.2 | 1.9 | 1.69 | 1.24 | 1.19 |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:30 | 385 | სიონი-შო დე ფონი | 1.4 | 3.8 | 7.0 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 19:30 | 386 | ვოლენი-კიასო | 2.6 | 3.1 | 2.45 | 1.41 | 1.26 | 1.36 |
| 21:30 | 387 | ივერდონი-მეირინი | 1.45 | 3.7 | 6.2 | 1.04 | 1.17 | 2.31 |
| 21:30 | 388 | ლუცერნი-იუვენტუსი | 1.45 | 3.7 | 6.2 | 1.04 | 1.17 | 2.31 |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 16:30 | 389 | ვილი-ბოლმი | 1.7 | 3.3 | 4.4 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 16:30 | 390 | ბულე-კრინსი | 2.3 | 3.1 | 2.8 | 1.32 | 1.26 | 1.47 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 391 | კონკორდია-ვინტერთური | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 16:30 | 392 | ლუგანო-ვადუცი | 2.3 | 3.1 | 2.8 | 1.32 | 1.26 | 1.47 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **11 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 68 | მესინა-პალერმო | 2.4 | 2.9 | 3.0 | 1.31 | 1.33 | 1.47 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 394 | ასკოლი-კროტონე | 1.5 | 3.2 | 6.8 | 1.02 | 1.22 | 2.17 |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 395 | კატანია-ჯენოა | 2.5 | 2.7 | 2.8 | 1.29 | 1.32 | 1.37 |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 396 | კატანძარო-პესკარა | 1.9 | 2.8 | 4.1 | 1.13 | 1.29 | 1.66 |
| 17:00 | 397 | ემპოლი-მოდენა | 1.65 | 3.1 | 5.0 | 1.07 | 1.24 | 1.91 |
| 17:00 | 398 | პერუჯა-ვიჩენცა | 1.75 | 3.0 | 4.5 | 1.1 | 1.25 | 1.79 |
| 17:00 | 399 | სალერნიტანა-ჩეზენა | 2.3 | 2.8 | 2.9 | 1.26 | 1.28 | 1.42 |
| 17:00 | 400 | ტერნანა-პიაჩენცა | 2.1 | 2.8 | 3.4 | 1.2 | 1.29 | 1.53 |
| 17:00 | 401 | ტორინო-ვენეცია | 1.5 | 3.4 | 5.7 | 1.04 | 1.18 | 2.12 |
| 17:00 | 402 | ტრევიზო-ვერონა | 2.6 | 2.7 | 2.8 | 1.32 | 1.34 | 1.37 |
| 17:00 | 403 | ტრიესტინა-ბარი | 1.85 | 2.9 | 4.2 | 1.12 | 1.28 | 1.71 |
| 22:30 | 404 | არეცო-ალბინოლეფე | 1.9 | 2.8 | 4.2 | 1.13 | 1.3 | 1.67 |
| | | **ესპანეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 79 | ბილბაო-ვილიარეალი | 2.15 | 3.3 | 3.1 | 1.3 | 1.26 | 1.59 |
| 22:00 | 81 | ესპანიოლი-რასინგი | 1.85 | 3.3 | 4.0 | 1.18 | 1.26 | 1.8 |
| 22:00 | 82 | ხეტაფე-მალაგა | 2.1 | 3.1 | 3.3 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| 23:45 | 83 | დეპორტივო-ლევანტე | 1.7 | 3.4 | 4.6 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| 22:00 | 85 | ნუმანსია-სევილია | 3.2 | 3.2 | 2.1 | 1.6 | 1.26 | 1.26 |
| 22:00 | 86 | ოსასუნა-სოსიედადი | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| 22:00 | 88 | ვალენსია-სარაგოსა | 1.75 | 3.4 | 4.4 | 1.15 | 1.25 | 1.91 |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 80 | ბეტისი-ბარსელონა | 3.6 | 3.2 | 1.95 | 1.69 | 1.26 | 1.21 |
| 19:00 | 84 | მალიორკა-ატლეტიკო | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 21:00 | 87 | რეალი-ალბასეტე | 1.2 | 5.5 | 11.0 | 1.0 | 1.08 | 3.66 |
| | | **ესპანეთი. მეორე დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:30 | 424 | კორდობა-სელტა | 2.9 | 2.8 | 2.4 | 1.42 | 1.31 | 1.29 |
| 20:30 | 431 | ტერასა-ლეიდა | 2.5 | 2.7 | 2.9 | 1.29 | 1.34 | 1.39 |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 423 | სიუდადი-ტარაგონა | 2.2 | 2.7 | 3.5 | 1.21 | 1.35 | 1.52 |
| 20:00 | 425 | ელჩე-მურსია | 1.9 | 2.8 | 4.3 | 1.13 | 1.31 | 1.69 |
| 20:00 | 426 | მალაგა ბ-ალავესი | 2.9 | 2.8 | 2.4 | 1.42 | 1.31 | 1.29 |
| 19:00 | 427 | ეხიდო-ფეროლი | 2.3 | 2.7 | 3.2 | 1.24 | 1.33 | 1.46 |
| 20:00 | 428 | პონტევედრა-ალმერია | 2.4 | 2.8 | 2.9 | 1.29 | 1.31 | 1.42 |
| 20:00 | 429 | სალამანკა-კადისი | 2.4 | 2.8 | 2.9 | 1.29 | 1.31 | 1.42 |
| 20:00 | 430 | ტენერიფე-სპორტინგი | 2.2 | 2.7 | 3.5 | 1.21 | 1.35 | 1.52 |
| 20:00 | 432 | ვალიადოლიდი-უელვა | 2.2 | 2.7 | 3.5 | 1.21 | 1.35 | 1.52 |
| 14:00 | 433 | სერესი-ეიბარი | 2.2 | 2.8 | 3.3 | 1.23 | 1.32 | 1.51 |
| | | **საფრანგეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 434 | 19:15 | ლიონი-ნანტი | 1.5 | 3.6 | 6.5 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 435 | 22:00 | მარსელი-სტრასბური | 1.6 | 3.4 | 5.5 | 1.08 | 1.23 | 2.1 |
| 436 | 22:00 | მეცი-კაენი | 1.9 | 3.0 | 4.2 | 1.16 | 1.3 | 1.75 |
| 437 | 22:00 | ნიცა-ლანსი | 2.0 | 2.9 | 4.0 | 1.18 | 1.33 | 1.68 |
| 438 | 22:00 | რენი-ტულუზი | 1.9 | 3.0 | 4.2 | 1.16 | 1.3 | 1.75 |
| 439 | 22:00 | სოშო-ისტრი | 1.5 | 3.6 | 6.5 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 440 | 22:00 | ოსერი-აიაჩო | 1.5 | 3.6 | 6.5 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 441 | 22:00 | ბასტია-სტ.ეტიენი | 2.05 | 2.9 | 3.7 | 1.2 | 1.31 | 1.62 |
| 442 | 22:00 | ბორდო-პსჟ | 2.5 | 2.9 | 2.8 | 1.34 | 1.32 | 1.42 |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 443 | 23:00 | ლილი-მონაკო | 2.45 | 2.9 | 2.9 | 1.32 | 1.32 | 1.45 |
| | | **საფრანგეთი მეორე დივიზიონი** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 445 | კლერმონი-ამიენი | 2.3 | 2.7 | 3.2 | 1.24 | 1.33 | 1.46 |
| 22:00 | 446 | კრეტეი-ნიორი | 2.0 | 2.7 | 4.0 | 1.14 | 1.33 | 1.61 |
| 22:00 | 447 | გრენობლი-ტრუა | 2.2 | 2.8 | 3.3 | 1.23 | 1.32 | 1.51 |
| 22:00 | 448 | გენიონი-ლორიანი | 2.0 | 2.8 | 3.8 | 1.16 | 1.31 | 1.61 |
| 22:00 | 449 | ლე ავრი-ანჟე | 2.0 | 2.8 | 3.8 | 1.16 | 1.31 | 1.61 |
| 22:00 | 450 | სედანი-მონპელიე | 2.2 | 2.8 | 3.3 | 1.23 | 1.32 | 1.51 |
| 22:45 | 451 | ლე მანი-ნანსი | 2.3 | 2.8 | 3.1 | 1.26 | 1.32 | 1.47 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 452 | რეიმსი-გენგამი | 2.2 | 2.8 | 3.3 | 1.23 | 1.32 | 1.51 |
| 22:00 | 453 | შატორუ-ლავალი | 2.0 | 2.8 | 3.8 | 1.16 | 1.31 | 1.61 |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:15 | 454 | ბრესტი-დიჟონი | 1.8 | 2.9 | 4.8 | [illegible] | 1.3 | [illegible] |
| | | **ჰოლანდია პირველი დივიზიონი** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 473 | დენ ჰააგი-როზენდალი | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 21:30 | 474 | ჰერენვენი-ვიტესი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 475 | ბრედა-ალკმაარი | 2.6 | 3.3 | 2.4 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| 21:30 | 476 | პსვ-ტილბურგი | 1.2 | 5.2 | 10.5 | 1.0 | 1.07 | 3.47 |
| 22:00 | 477 | ნაიმეგენი-ტვენტე | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 14:30 | 478 | აიაქსი-ფეიენოორდი | 2.0 | 3.2 | 3.4 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 16:30 | 479 | გრონინგენი-დენ ბოსხი | 1.6 | 3.6 | 5.0 | 1.1 | 1.21 | 2.09 |
| 16:30 | 480 | ვალვაიკი-გრააფსხაპი | 1.5 | 3.7 | 5.8 | 1.06 | 1.19 | 2.25 |
| 16:30 | 481 | უტრეხტი-როდა | 1.9 | 3.3 | 3.6 | 1.2 | 1.24 | 1.72 |
| | | **პორტუგალია სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 501 | ეშტორილი-აკადემიკა | 1.85 | 3.3 | 3.8 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 493 | ბელენენსეში-მორეირენსე | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 19:00 | 494 | ჟილ ვისენტე-პორტუ | 4.7 | 3.5 | 1.65 | 2.0 | 1.22 | 1.12 |
| 23:45 | 496 | მარიტიმუ-ბენფიკა | 2.8 | 3.2 | 2.3 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 19:00 | 497 | პენაფიელი-ბეირა მარი | 2.1 | 3.1 | 3.2 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 499 | სეტუბალი-ნასიონალი | 1.9 | 3.2 | 3.7 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 495 | ლეირია-ბრაგა | 2.2 | 3.1 | 3.0 | 1.28 | 1.26 | 1.52 |
| 21:00 | 500 | სპორტინგი-ბოავიშტა | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 498 | რიუ ავე-გიმარაეში | 1.9 | 3.2 | 3.7 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 521 | როტორი-ზენიტი | 6.5 | 3.8 | 1.35 | 2.39 | 1.11 | 1.0 |
| 18:00 | 522 | რუბინი-ალანია | 1.5 | 3.4 | 5.0 | 1.04 | 1.15 | 2.02 |
| 18:00 | 524 | შინიკი-ლოკომოტივი | 5.5 | 3.7 | 1.4 | 2.21 | 1.11 | 1.01 |
| 18:00 | 525 | ტორპედო-როსტოვი | 1.4 | 3.7 | 5.5 | 1.01 | 1.11 | 2.21 |
| 18:00 | 526 | მოსკოვი-ცსკა | 9.5 | 4.5 | 1.2 | 3.05 | 1.06 | 1.0 |
| | | **პოლონეთი** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 527 | ამიკა-ზაგლებე | 1.5 | 3.5 | 5.5 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 17:30 | 528 | კატოვიცე-ლეგია | 6.0 | 3.6 | 1.45 | 2.25 | 1.16 | 1.03 |
| 17:30 | 529 | პოგონი-კრაკოვია | 2.1 | 3.1 | 3.0 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| 17:30 | 530 | პოლონია-ვურნიკი | 1.75 | 3.1 | 4.0 | 1.11 | 1.21 | 1.74 |
| 19:45 | 531 | ვისლა-ლეხი | 1.25 | 4.2 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 1.86 |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 532 | ლეჩნა-გროცლინი | 3.5 | 3.1 | 1.9 | 1.64 | 1.23 | 1.17 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 16:25 | 535 | ბრნო-სპარტა | 4.4 | 3.3 | 1.7 | 1.88 | 1.22 | 1.12 |
| 19:00 | 538 | სლავია-პრჟიბრამი | 1.35 | 4.0 | 7.5 | 1.0 | 1.14 | 2.6 |
| 19:00 | 539 | სლოვაცკო-ბანიკი | 2.4 | 2.9 | 2.8 | 1.31 | 1.29 | 1.42 |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 536 | ბუდეიოვიცე-ბლშანი | 1.85 | 3.2 | 3.8 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 19:00 | 540 | ტეპლიცე-სიგმა | 2.1 | 3.1 | 3.1 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| 19:00 | 541 | იაბლონეცი-ზლინი | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.93 |
| 19:00 | 542 | დრნოვიცე-ბოლესლავი | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.93 |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:40 | 537 | ოპავა-ლიბერეცი | 2.8 | 2.9 | 2.4 | 1.42 | 1.29 | 1.31 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 15:30 | 543 | ბ.ბისტრიცა-დუბნიცა | 2.1 | 3.0 | 3.1 | 1.23 | 1.25 | 1.52 |
| 15:30 | 544 | ინტერი-ტრენჩინი | 2.4 | 3.0 | 1.6 | 1.33 | 1.24 | 1.39 |
| 15:30 | 545 | ტრნავა-სობოტა | 1.5 | 3.5 | 5.5 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 20:00 | 546 | ჟილინა-რუჟომბეროკი | 1.5 | 3.5 | 5.5 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 12:30 | 547 | პეტრჟალკა-პუხოვი | 1.7 | 3.2 | 4.2 | 1.11 | 1.21 | 1.81 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ხორვატია** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 548 | მედიმურიე-ზაგრები | 2.3 | 3.1 | 2.7 | 1.32 | 1.24 | 1.44 |
| 16:00 | 549 | სლავენი-ინტერი | 2.1 | 3.1 | 3.0 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| 16:00 | 550 | ზადარი-რიეკა | 2.4 | 3.1 | 2.6 | 1.35 | 1.24 | 1.41 |
| 18:00 | 551 | ოსიეკი-პულა | 1.55 | 3.5 | 5.1 | 1.07 | 1.18 | 2.07 |
| 18:00 | 552 | კამენი-ჰაიდუკი | 3.8 | 3.2 | 1.8 | 1.73 | 1.22 | 1.15 |
| 19:30 | 553 | დინამო-ვარტექსი | 1.55 | 3.5 | 5.1 | 1.07 | 1.18 | 2.07 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 567 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 568 | ვიბორგი-სილკებორგი | 1.75 | 3.4 | 4.5 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 569 | ჰერფიოლგე-კოპენჰაგენი | 4.7 | 3.7 | 1.65 | 2.07 | 1.22 | 1.14 |
| 17:00 | 570 | ორჰუსი-ოდენსე | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 17:00 | 571 | ესბიერგი-რანდერსი | 1.45 | 4.0 | 6.5 | 1.06 | 1.18 | 2.47 |
| 19:00 | 572 | ნორდსიელანდი-ბრიონდბიუ | 5.5 | 3.8 | 1.55 | 2.24 | 1.2 | 1.1 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 582 | ბოჰემიანი-დუბლინი | 1.5 | 3.8 | 5.2 | 1.07 | 1.16 | 2.19 |
| 22:45 | 583 | დროგედა-კორკი | 2.65 | 3.2 | 2.3 | 1.44 | 1.23 | 1.33 |
| 22:00 | 584 | შემროკი-სტ.პატრიკსი | 2.3 | 3.2 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| 22:45 | 585 | შელბურნი-უოტერფორდი | 1.45 | 4.0 | 5.4 | 1.06 | 1.14 | 2.29 |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 581 | დერი-ლონგფორდი | 2.25 | 3.2 | 2.8 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 631 | ბრისტოლი-ბრენტფორდი | 1.85 | 3.3 | 3.8 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 22:45 | 632 | საუთენდი-ლუტონი | 3.2 | 3.3 | 2.0 | 1.62 | 1.23 | 1.24 |
| 22:45 | 646 | პორტ ვეილი-კიდერმინსტერი | 1.4 | 4.0 | 7.0 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 633 | საუთპორტი-ჰერეფორდი | 2.8 | 3.3 | 2.2 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| 18:00 | 634 | სტოკპორტი-ჰადერსფილდი | 2.8 | 3.3 | 2.2 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| 18:00 | 635 | სუინდონი-უენსდი | 2.2 | 3.3 | 2.8 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 18:00 | 636 | როვერსი-კარლაილი | 1.7 | 3.4 | 4.3 | 1.13 | 1.21 | 1.89 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 637 | კემბრიჯი-ლეი | 2.2 | 3.3 | 2.8 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 18:00 | 638 | ჩელტენემი-სუონსი | 2.4 | 3.3 | 2.6 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 18:00 | 639 | ფორესტ გრინი-ბორნმუთი | 6.0 | 3.5 | 1.5 | 2.21 | 1.2 | 1.04 |
| 18:00 | 640 | ჰარტლპული-ლინკოლნი | 1.5 | 3.5 | 6.5 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| 18:00 | 641 | ჰალი-მორიკომბი | 1.25 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.21 |
| 18:00 | 642 | ლეიტონი-დაგ ენდ რედი | 1.45 | 3.7 | 6.5 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 18:00 | 643 | მენსფილდი-კოლჩესტერი | 2.5 | 3.2 | 2.5 | 1.4 | 1.25 | 1.4 |
| 18:00 | 644 | ნორთჰემპტონი-ბარნსლი | 2.5 | 3.2 | 2.5 | 1.4 | 1.25 | 1.4 |
| 18:00 | 645 | პიტერბრო-ტრანმერი | 2.7 | 3.3 | 2.3 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| 18:00 | 647 | როჩდეილი-ოქსფორდი | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 18:00 | 648 | სკანთორპი-ჩესტერფილდი | 2.8 | 3.3 | 2.2 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| 18:00 | 649 | ჰალიფაქსი-კემბრიჯი | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 18:00 | 650 | დარლინგტონი-იოვილი | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 18:00 | 651 | ექსეტერი-გრიმსბი | 2.7 | 3.3 | 2.3 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| 18:00 | 652 | ალდერშოტი-კონვი | 1.75 | 3.3 | 4.2 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 18:00 | 653 | ბარნეტი-ბასი | 1.35 | 4.1 | 7.5 | 1.01 | 1.14 | 2.65 |
| 18:00 | 654 | ბლეკპული-ტემუორთი | 1.35 | 4.1 | 7.5 | 1.01 | 1.14 | 2.65 |
| | | **ესპანეთი თასი** | | | | | | |
| | | **11 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 687 | ტარაგონა-ატლეტიკო | 5.0 | 3.5 | 1.6 | 2.05 | 1.21 | 1.09 |
| | | **როიალ ლიგა** | | | | | | |
| | | **11 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 884 | ესბიერგი-ვოლერენგა | 2.05 | 3.3 | 3.2 | 1.26 | 1.24 | 1.6[illegible] |
| 22:30 | 885 | რუსენბორგი-იურგორდენი | 1.5 | 4.0 | 5.2 | 1.09 | 1.16 | 2.26 |
| 20:00 | 886 | ბრიონბიუ-ტრომსიო | 1.5 | 4.0 | 5.2 | 1.09 | 1.16 | 2.26 |
| 22:00 | 887 | გიოტებორგი-კოპენჰაგენი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 20:00 | 888 | ბრანი-ჰალმსტადი | 2.05 | 3.3 | 3.2 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 20:00 | 889 | მალმიო-ოდენსე | 1.85 | 3.4 | 3.7 | 1.19 | 1.23 | 1.77 |
| | | **ნორვეგია პლეი-ოფი** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 875 | ბოდიო გლიმტი-კონგსვინგერი | 1.4 | 4.5 | 5.5 | 1.06 | 1.11 | 2.47 |
| | | **ჰოკეი.** | | | | | | |
| | | **11 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 882 | ფინეთი-ჩეხეთი | 2.0 | 4.4 | 2.5 | 1.37 | 1.11 | 1.59 |
| 21:00 | 883 | შვედეთი-რუსეთი | 1.75 | 4.4 | 3.0 | 1.25 | 1.1 | 1.78 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10059 | ბრეშა-მილანი | 5.2 | 2.2 | 2.1 | 1.54 | 1.49 | 1.07 |
| 10060 | კიევო-ატალანტა | 2.4 | 2.0 | 4.8 | 1.09 | 1.6 | 1.41 |
| 10061 | ინტერი-ბოლონია | 1.65 | 2.35 | 8.0 | 1.0 | 1.36 | 1.81 |
| 10062 | იუვენტუსი-ფიორენტინა | 1.65 | 2.35 | 8.0 | 1.0 | 1.36 | 1.81 |
| 10063 | ლივორნო-ლაციო | 2.8 | 2.0 | 3.5 | 1.16 | 1.55 | 1.27 |
| 10064 | პარმა-რეჯინა | 2.4 | 2.1 | 4.3 | 1.12 | 1.54 | 1.41 |
| 10065 | რომა-უდინეზე | 2.1 | 2.2 | 5.2 | 1.07 | 1.49 | 1.54 |
| 10066 | სამპდორია-კალიარი | 2.2 | 2.05 | 5.4 | 1.06 | 1.56 | 1.48 |
| 10067 | სიენა-ლეჩე | 2.85 | 2.2 | 3.1 | 1.24 | 1.48 | 1.28 |
| 10068 | მესინა-პალერმო | 3.0 | 2.0 | 3.3 | 1.2 | 1.57 | 1.24 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14059 | ბრეშა-მილანი | 2.4 | 1.6 |
| 14060 | კიევო-ატალანტა | 1.7 | 2.2 |
| 14061 | ინტერი-ბოლონია | 1.3 | 3.0 |
| 14062 | იუვენტუსი-ფიორენტინა | 1.8 | 1.8 |
| 14063 | ლივორნო-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 14064 | პარმა-რეჯინა | 1.7 | 2.2 |
| 14065 | რომა-უდინეზე | 1.65 | 2.3 |
| 14066 | სამპდორია-კალიარი | 1.65 | 2.3 |
| 14067 | სიენა-ლეჩე | 1.9 | 1.9 |
| 14068 | მესინა-პალერმო | 1.9 | 1.9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11059 | ბრეშა-მილანი | 10.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 4.6 | 3.5 | 25.0 | 12.0 | 2.2 |
| 11060 | კიევო-ატალანტა | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11061 | ინტერი-ბოლონია | 1.8 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.3 | 12.0 | 20.0 | 12.0 | 12.0 |
| 11062 | იუვენტუსი-ფიორენტინა | 1.8 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.3 | 12.0 | 20.0 | 12.0 | 12.0 |
| 11063 | ლივორნო-ლაციო | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.2 |
| 11064 | პარმა-რეჯინა | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11065 | რომა-უდინეზე | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11066 | სამპდორია-კალიარი | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11067 | სიენა-ლეჩე | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.2 |
| 11068 | მესინა-პალერმო | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.2 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15059 | ბრეშა-მილანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15060 | კიევო-ატალანტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15061 | ინტერი-ბოლონია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15062 | იუვენტუსი-ფიორენტინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15063 | ლივორნო-ლაციო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15064 | პარმა-რეჯინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15065 | რომა-უდინეზე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15066 | სამპდორია-კალიარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15067 | სიენა-ლეჩე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15068 | მესინა-პალერმო | 3.0 | 2.8 | 2.0 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13059 | ბრეშა-მილანი | 1.75 | 1.85 |
| 13060 | კიევო-ატალანტა | 1.65 | 1.95 |
| 13061 | ინტერი-ბოლონია | 1.95 | 1.65 |
| 13062 | იუვენტუსი-ფიორენტინა | 1.9 | 1.7 |
| 13063 | ლივორნო-ლაციო | 1.95 | 1.65 |
| 13064 | პარმა-რეჯინა | 1.65 | 1.95 |
| 13065 | რომა-უდინეზე | 2.0 | 1.6 |
| 13066 | სამპდორია-კალიარი | 1.65 | 1.95 |
| 13067 | სიენა-ლეჩე | 1.6 | 2.0 |
| 13068 | მესინა-პალერმო | 1.65 | 1.95 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12059 | ბრეშა-მილანი | 1.75 | 1.85 |
| 12060 | კიევო-ატალანტა | 1.65 | 1.95 |
| 12061 | ინტერი-ბოლონია | 1.9 | 1.7 |
| 12062 | იუვენტუსი-ფიორენტინა | 1.8 | 1.8 |
| 12063 | ლივორნო-ლაციო | 1.7 | 1.9 |
| 12064 | პარმა-რეჯინა | 1.7 | 1.9 |
| 12065 | რომა-უდინეზე | 1.9 | 1.7 |
| 12066 | სამპდორია-კალიარი | 1.8 | 1.8 |
| 12067 | სიენა-ლეჩე | 1.95 | 1.65 |
| 12068 | მესინა-პალერმო | 1.7 | 1.9 |

# ჭიდაობას პატრონი აღარ ჰყავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოჩა ძასოხოვი გადადგა



*ძნელი სათქმელია, ისეთი წარმატებული ხანა ქართულ ჭიდაობას ბოლოს როდის ჰქონდა, როგორიც 2000-2004 წლებში. ეს ის პერიოდია, როცა ჭიდაობას ნამდვილი პატრონი გამოუჩნდა. მსოფლიოსა და ევროპის ოთხ-ოთხი ჩემპიონობა, მსოფლიოს ორი გუნდური ჩემპიონობა – ეს იმ მიღწევათა მხოლოდ ნაწილია, რომლებიც გოჩა ძასოხოვის პრეზიდენტობის ოთხ წელიწადში თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებზე მოდის*

ბოლო წარმატება ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიო თასი თბილისში მასპინძლობა და საქართველოს ნაკრების გაჩემპიონება იყო. საჭიდაო სამყაროში ერთ კაცს ვერ მოძებნით, ოთხლიანი ოქროს ხანის უმთავრეს შემოქმედად პრეზიდენტ გოჩა ძასოხოვს რომ არ მიიჩნევდეს. გუშინ კი ამ კაცმა ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, არათუ ჭიდაობაში მოტრიალეთ, არამედ ამ სპორტის რიგით გულშემატკივრებსაც რომ არ მოუვიდოდათ აზრად — გადადგა.

გოჩა ძასოხოვმა ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივანი ომზარ შოშიტაშვილი დაიბარა და მას გადასცა გადადგომის მაუწყებელი განცხადება. ძასოხოვის ხელმოწერილი საბუთი სწორედ შოშიტაშვილმა მოგვაწოდა და წასვლის მიზეზებზეც გვითხრა, თუმც ჩვენს ხელთ არსებული მიზეზები რომ არასრულია, მგონი, ნებისმიერი სალად მოაზროვნე ადამიანი მიხვდება.

„გოჩა ძასოხოვის დარი პატრონი ქართულ ჭიდაობას დიდი ხანია, არ ჰყოლია — გვითხრა გუშინ სალამოს გენერალურმა მდივანმა — ეს განცხადება რომ გადმომცა, გაოგნებული დავრჩი. მითხრა სპორტსაზოგადოება „დინამოს" თავკაციც ვარ და გადავწყვიტე, მთლიანად იმ საქმეზე გადავერთო, ჭიდაობისთვის კი პრეზიდიუმმა ახალი ღირსეული წინამძღოლი მოძებნოსო. შემდეგ კიდევ შევხვდი და მისი გადარწმუნება ვცადე, მაგრამ თავიდანვე ვიცოდი, ეს შეუძლებელი იქნებოდა. საოცრად გაწონასწორებული პიროვნებაა და სიტყვას რომ ამბობს, იმას ველარაფერი შეაცვლევინებს."

გენერალურ მდივანს ბოლოხანს სპორტულ სამყაროში გავარდნილ ჭორზეც დავეკითხეთ, რომლის თანახმადაც ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტსა და სპორტის ერთ-ერთი მმართველი ორგანოს შეფებს შორის გარკვეული დაპირისპირებები არსებობდა, თუმც, როგორც მოსალოდნელი იყო, უარყოფითი პასუხი მივიღეთ.

ყველა ნიუანსის მაქსიმალურად დასაზუსტებლად ჭიდაობაში მოტრიალე არაერთი პიროვნება შევაწუხეთ, მაგრამ მიზეზზე საუბრის ჩამოგდებისთანავე ყველა გაჩუმებას არჩევდა. ბოროტ ხალხს ქვეყანაში რა დალევსო, გვითხრა ერთ-ერთმა. ამ რამდენიმე სიტყვიდან აზრის გამოტანა თქვენთვის მოგვინდვია.



*ბოლო რესპოდენტად თავად გოჩა ძასოხოვი მოვიტოვეთ. ტელეფონით შევეხმიანეთ, პირველ რიგში „სარბიელის" და ქართველი გულშემატკივრების სახელით ამ ოთხწლეულში ჭიდაობისგან მიღებული სიხარულისთვის მადლობა გადავუხადეთ, შემდეგ კი საუბარზეც დავითანხმეთ.*

— რამ მიგაღებინათ ასეთი მოულოდნელი გადაწყვეტილება?

— ჭიდაობას ოთხი წელი ვუთავკაცე და, მგონი, საკმაოდ წარმატებული პერიოდიც გამოვიდა. ახლა ახალი არჩევნები მოდის და უმჯობესია, ეს საქმე სხვამ გადაიბაროს.

— ასეთ დროს მსგავსი განცხადების გაკეთება ყველასთვის წარმოუდგენელი იყო. წარმატებული მუშაობის გამო იქნებ ჯობდა საქმიანობა გაგეგრძელებინათ?

— ქართულ ჭიდაობას ახლა კარგი პერიოდი უდგას და, ჩემი აზრით, წასვლა სწორედ ამიტომ ჯობდა — თანამდებობას ამაყი ვტოვებ.

— ჭიდაობისთვის ამხელა საქმის გამკეთებელი წარმოუდგენელია მის მომავალზეც არ ფიქრობდეთ. თუ გეგულებათ კაცი, რომელიც აღმასვლის ტემპს შეინარჩუნებს?

— კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. ღირსეულს პრეზიდიუმი აირჩევს.

— თქვენ რას აპირებთ?

— სპორტსაზოგადოება „დინამოს" მივხედავ.

— ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი მისი გულისთვის დატოვეთ?

— დიახ. ამ საქმისთვის მეტი ყურადღების მიქცევა რომ შევძლო.

— თუ საქმე არჩევანზე მიდგა, ხომ არ ჯობდა, „დინამო" დაგეთმოთ?

— არ გეთანხმებით. ეს ძალიან სერიოზული საქმეა და მასში სხვა სპორტის სახეობებთან ერთად ჭიდაობაც შედის.

— ამბობენ, თითქოს ბოლო დროს სპორტის სათავეში მოტრიალე ხალხთან უთანხმოება გქონდათ...

— ეს ჭორია. არ ვარ ის კაცი, საქმეს სიძნელის და წინაღობის გამო გავექცე. უბრალოდ, ასე გადავწყვიტე და მორჩა.

— ესე იგი, გადაწყვეტილება საბოლოოა?

— გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

### საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდიუმს

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდიუმის წევრებს, ვეტერან მოჭიდავეებს და ყველა იმ ადამიანს, ვისთანაც მომიწია ოთხი წლის განმავლობაში იმ საქმის კეთება, რასაც ჩვენს ქვეყანაში ჭიდაობის სახეობათა აღორძინება, განვითარება და პოპულარიზაცია ჰქვია. მე ჩემს გუნდთან ერთად ამ დროის განმავლობაში შევეცადე ღირსეულად მეტარებინა ის ტვირთი, რასაც ფედერაციის პრეზიდენტობა ჰქვია. თუ როგორ შევძელი ეს ყველაფერი, ამას ალბათ დრო და ისტორიად ქცეული ჩვენი რეალობა დაგვანახებს. დღეს ჭიდაობა ფეხზე დგას და თუ იქნება სპორტის ამ სახეობისადმი ჭეშმარიტი სახელმწიფოებრივი მიდგომა, ის ქვეყნისათვის დიდ საზღაურს გაიღებს, საზღაურს რასაც პირველ რიგში ჩვენი ახალგაზრდობის ფიზიკური, სულიერი აღზრდა და ეროვნული გენოფონდის ჩამოყალიბება წარმოადგენს.

მე იმედი მაქვს პრეზიდიუმი ობიექტურად მოამზადებს ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობას და ჭიდაობის სამყარო აირჩევს ღირსეულ კანდიდატს, ადამიანს, რომელიც გაუძლევება ეროვნულად ჭეშმარიტ საქმეს და ჩვენს ფალავნებს კიდევ და კიდევ დიდ გამარჯვებებამდე მიიყვანს.

დღეს მე ვიხსნი ჩემს უფლება-მოსილებას, როგორც ფედერაციის პრეზიდენტი და ამას ვაცხადებ ოფიციალურად. გისურვებთ თითოეულ თქვენგანს წინსვლას, წარმატებებს. მაღალი ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახების, მთლიანად საქართველოს მფარველი.

*პრეზიდენტი გ. ძასოხოვი*

*საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები დეკემბრის დასაწყისში გაიმართება. თარიღი ჯერ არ დაზუსტებულა და არც პრეზიდენტობის კანდიდატები დარეგისტრირებულან. გოჩა ძასოხოვის კენჭისყრაში მონაწილეობის შემთხვევაში ძირითადი კანდიდატი იგი იქნებოდა, ახლა კი არავინ უწყის, ვინ გახდება პრეზიდენტი. კულუარული ინფორმაციით, ამის მსურველი ორი პიროვნება უკვე გამოჩენილა. საჭიდაო წრეებში პარლამენტარ ვალერი გელაშვილისა და ვეტერანი მოჭიდავის ბაკურ გოგიტიძის გვარ-სახელებს ახსენებენ.*



გურამ მურადაშვილის ფოტო

# ტრანზიტი
## მარკოიშვილის თავგადასავალი იტალიაში

ადრიატიკის ლიგის ბოლო ტურში „ოლიმპიას“ ქართველმა მსროლელმა მანუჩარ მარკოიშვილმა 14 წუთში 8 ქულა მიითვალა, რაც , თუ მის ბოლოდროინდელ სტატისტიკას გავითვალისწინებთ, ურიგო შედეგი არ გახლავთ. „პარტიზანთან“ მატჩში ოლიმპიელთა თავკაცი ქართველს მიენდო და მარკოიშვილმაც იმედი არ გაუცრუა, ხოლო ლიუბლიანელთა მარცხი კიდევ ერთი ჩვენებურის ვლადიმერ ბოისას არყოფნას დაბრალდა. ვოვა „სკავოლინისთან“ ევროლიგის ბოლო მატჩში უხერხულად დაეცა და ოლიმპიელთა მწვრთნელმაც ბოისა სადღეისოდ შემონიხა — ლიუბლიანელები ევროლიგაში „ბარსელონას“ ხვდებიან. „ოლიმპია“ კატალონიელებს ლიუბლიანაში მასპინძლობს, თორემ მარკოიშვილს მესაზღვრეებთან ისევ კუკუდამალობანა მოუწევდა, რაკი ხანგრძლივი სლოვენური ვიზა ჯერაც არ მიუღია და „სკავოლინისთან“ სათამაშოდ თურმე რაღაც მაქინაციების ჩატარება მოუხდა სლოვენია-იტალიის საზღვარზე...

— „პარტიზანთან“ კარგად გითამაშია, „სკავოლინისთან“ კი...

— ევროლიგა სხვა დონეა და მწვრთნელი იქ ნაკლებად მენდობა —, გვეუბნება მარკოიშვილი — „სკავოლინისთან“ და სხვა საევროლიგო მატჩებში მოედანზე იშვიათად ვიყავი. არადა, ასეთ დონეზე თამაშის გამოცდილებაც მაქვს, მაგრამ, როგორც ჩანს, მწვრთნელს ეს არ აკმაყოფილებს. იგი ძირითადად შვიდ მოთამაშეს ეყრდნობა.

— თუ ისე გააგრძელებ, როგორც ადრიატიკის ლიგაში „პარტიზანთან“ ითამაშე, ალბათ ევროლიგაშიც ხშირად მოგეცემა შანსი...

— რა თქმა უნდა, პირველ რიგში სტაბილურობა მაკლია. ადრიატიკის ლიგაში ხან მიმდის თამაში, ხან არა. „პარტიზანთან“ კი კმაყოფილი დავრჩი, ურიგოდ არ მითამაშია. სამწუხაროა, რომ წავაგეთ, მაგრამ მეტს ბევრიც არ ელოდა, რადგან გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, ვლადიმერ ბოისა გვაკლდა. ვოვა „სკავოლინისთან“ მატჩში სადავო გდებისას უხერხულად დაეცა და წელი იტკინა. ეს მესამე მეოთხედში მოხდა, თუმც ვოვამ ბოლომდე ჩაამთავრა თამაში, ისე მოიქცა, როგორც კაპიტანს შეჰფერის.

— ახლა როგორაა, ხვალ „ბარსელონასთან“ ითამაშებს?

— ალბათ, ითამაშებს, რადგან უკვე ვარჯიშს შეუდგა. მწვრთნელმა „პარტიზანთან“ სწორედ იმიტომ დაასვენა, რომ „ბარსელონასთან“ თამაშისთვის მზად ყოფილიყო.

— ესე იგი ყველაფერი წესრიგშია და „ბარსელონასთან“ ბრძოლას ელით?

— „ბარსასთან“ მატჩისთვის ყველაფერი კარგადაა, მაგრამ თუ სლოვენიის ვიზა არ ავიღე, ალბათ გასვლით თამაშებში ვერ ვითამაშებ.

— ჩვენ ბოლოს ოციოდ დღის წინ ვისაუბრეთ და მაშინაც ვიზას ელოდებოდი. თუ აქამდე არ აგიღია, იტალიაში, თუნდაც სერბეთში როგორ ითამაშე?

— მაქინაციების გათამაშება მომიხდა, იტალიაში რომ მეთამაშა. სლოვენიიდან გასვლის პრობლემა არაა, ეგაა, თუ ვიზა წესრიგში არ გაქვს, უკან ველარ შემოხვალ. მე ისე მინდოდა „სკავოლინისთან“ თამაში, რომ იტალიაში გუნდს ალალბედზე გავყევი, იქ ხომ ჩავალ და მერე როგორღაც დავბრუნდები-მეთქი. საბოლოოდ ბევრი არ მითამაშია, მაგრამ პეზაროში მაინც ჩავედი და უკან რომ წამოვედით, სლოვენიის საზღვართან ახლოს გუნდის ავტობუსიდან ჩამოვედი. დავრჩი იტალიაში ბედის ანაბარა, მაგრამ გულს ის მიმაგრებდა, რომ ჯიბეში იტალიის ერთწლიანი ვიზა მედო, „ბენეტონიდან“ გამოყოლილი. იქით წავედი, აქეთ წამოვედი და რის ვაი-ვაგლახის შემდეგ სლოვენიის ტრანზიტული ვიზა ვიშოვე. იქაც გამიმართლა, თორემ შანსი იყო, იტალიაში გამეთია რამდენიმე ღამე. ახლა ამ ტრანზიტულ ვიზასაც ვადა გაუვიდა.

— მაგ პრობლემას როდის მოაგვარებ?

— წესით, ხვალ-ზეგ უკვე მექნება სლოვენიის ერთწლიანი ვიზა. რაც მე ამ საბუთის მისაღებად ვიწვალე...

**ირაკლი პერტაია**

# ის დიდებულია!
## პორტერი ფაჩულიას ქებას არ აკლებს

**ზაზა ფაჩულიას** ბოლოდროინდელი წარმატებები ჟურნალისტებს მხედველობიდან არ უნდა გამოჰპარვოდათ და ქართველი ცენტრის საქებარმა წერილმაც არ დააყოვნა. მილუოკის წამყვან გაზეთ „ჯორნალ სენტინელში“ ამ დღეებში ზაზაზე არაერთხელ დაიწერა, მაგრამ ახლა ჩვენებურს ცალკე სტატიაც უძღვნეს, სადაც „ბაქსის“ მწვრთნელი ტერი პორტერი ამბობს, ფაჩულია სასიამოვნო მოულოდნელობაა ჩვენთვისო და მისი მისამართით საქებარ სიტყვებს არ იშურებს.

„როცა პორტერს ფაჩულია „შარლოტიდან“ გადმოჰყავდა, ნაღდად არ იცოდა, რას მოელოდა მისგან — წერს „ჯორნალ სენტინელი“ — ეს იმიტომ, რომ ქართველი ცენტრის შესახებ არ არსებობდა საკმარისი ინფორმაცია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ფაჩულიას „ორლანდოში“ ბევრიც არაფერი გაუკეთებია. მას ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული თამაში სწორედ „მილუოკისთან“ ჰქონდა წინა სეზონში და „ბაქსის“ გარდა ალბათ ცოტამ თუ იცოდა, თუ რამხელა პოტენცია იმალებოდა ამ ბიჭის უკან.“

ტერი პორტერი: „მე მაშინ არ მოველოდი, რომ ჩვენთვის სრულიად უცნობი ფაჩულია ამდენ პრობლემას შეგვიქმნიდა. ის ძალიან გონივრულად ირჯებოდა და ფიზიკურადაც ჩინებულად გამოიყურებოდა. ფაჩულია პირველად მაშინ ვნახე და ცხადია, დამამახსოვრდა. მას „ორლანდოში“ დიდად არ ენდობოდნენ, რაც ძალიან გასაკვირია...“

კვლავ პორტერი: „ის დიდებულად თამაშობს. ფაჩულია საზაფხულო ლიგაშიც გამოვცადეთ, საგამოფენო მატჩებშიც და ყველგან შესანიშნავი იყო. ის ასევე ჩინებულად გამოიყურება ვარჯიშებზე და ყოველმხრივ მოწესრიგებულია. ჩვენ ძალიან ბევრი მოვიგეთ, როცა ფაჩულიას სანაცვლოდ „შარლოტს“ მომავალი დრაფტის მეორე რაუნდში არჩევანის უფლება დავუთმეთ. დარწმუნებული ვარ, მომავალ წელს ჩვენ ისეთს ვერავის ავიყვანდით, ფაჩულიას დონეზე რომ ეთამაშა.“

მოკლედ, ზაზას პორტერისგან არც ქება აკლია და არც სათამაშო წუთები. ეგაა, თამაშს ხუთეულში არ იწყებს, რაც ახალგაზრდა ქართველისთვის სულაც არ გახლავთ საგანგაშო. თუ ასე გააგრძელა, ხუთეულშიც დააყენებენ...

**ირაკლი პერტაია**



# პრესსამსახურმა ჯარიმით დაიწყო

**ქართულ** კალათბურთში ამ დღეებში ერთი კარგი საქმე გაკეთდა — შეიქმნა ფედერაციის პრესსამსახური, რომლის ხელმძღვანელადაც გაზეთ „სპორტის“ ჟურნალისტი ზურაბ თალაკვაძე დაინიშნა. ორი დღეც არ გასულა და აგერ, პირველი ინფორმაციაც...

„დინამო“ — სსუ-ს დუბლიორთა მატჩში მომხდარი ჩხუბის გამო სამ-სამ მატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს თბილისელ ტატო ჯანიზაშვილსა და სოხუმელ ირაკლი დოლიძეს. ეს კალათბურთელები ასევე 300-300 დოლარით დაჯარიმდნენ, რის ექვივალენტურ თანხასაც თუ არ გადაიხდიან ფედერაციის სალაროში, ვერც დუბლიორთა ჩემპიონატში ითამაშებენ და ვერც ეროვნულში.

ფედერაციის პრესსამსახურმა ასევე გვამცნო, რომ კვირას, 14 ნოემბერს ვერის ბაღში გასამართი სამი მატჩი ორი დღით გვიან, 16 ნოემბერს ჩატარდება. მიუხედავად ამისა, პარასკევს მაინც შედგება „დინამო“ — „თუჯის“ წინასამატჩო პრესკონფერენცია, რომელსაც კაფე „მსოფლიო სპორტი“ უმასპინძლებს.

რაც შეეხება თელავში კვირას გასამართ „ბურჯ“ — „ავიამშენს“, ეს თამაში დათქმულ დროს, 15 საათზე დაიწყება.

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

9 ნოემბერი

**დენვერი 88:108 სიეტლი**
დენვერი: ენტონი (20), მილერი (18)
*ცქიტიშვილი განაცხადში არ იყო*
სიეტლი: ალენი (30), ლუისი (27)

**ნიუ ჯერსი 64:60 პორტლენდი**
ნიუ ჯერსი: მურნინგი (14 ქულა, 12 მოხსნა)
პორტლენდი: რენდოლფი (16)
*სტეფანია განაცხადში არ იყო*

**მინესოტა 101:102 ინდიანა**
მინესოტა: გარნეტი (22 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი), სპრიუელი (21), შჩერბიაკი (20)
ინდიანა: ონილი (22), ჯექსონი (21), ტინსლი (18)

**მაიამი 103:93 ვაშინგტონი**
მაიამი: ვეიდი (22), ონილი (20), ჰეისლიმი (18 ქულა, 10 მოხსნა)
ვაშინგტონი: არენასი (20)

**საკრამენტო 108:92 ტორონტო**
საკრამენტო: ვებერი (21 ქულა, 11 მოხსნა, 11 პასი), მილერი (21 ქულა, 12 მოხსნა), ჯექსონი (18)
ტორონტო: როუზი (15), ალსტონი (15), კარტერი (12)

**ნიუ იორკი 96:88 ფილადელფია**
ნიუ იორკი: კროუფორდი (22), მუჰამედი (18)
ფილადელფია: აივერსონი (29 ქულა, 10 პასი)

**ორლანდო 94:84 დალასი**
ორლანდო: ჰილი (17), ფრენსისი (16 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი)
დალასი: ნოვიცკი (22), დანიელსი (16)

**ჰიუსტონი 90:87 მემფისი**
ჰიუსტონი: ჰოვარდი (22), მინგი (14 ქულა, 11 მოხსნა)
მემფისი: სვიფტი (18), გასოლი (15)

**ატლანტა 79:93 კლივლენდი**
ატლანტა: ულკერი (22), დრობნიაკი (19), ჰარინგტონი (14)
კლივლენდი: ილგაუსკასი (27), ჯეიმსი (25 ქულა, 10 მოხსნა), მაკინისი (17)

**ნიუ ორლეანი 98:106 ლეიკერსი**
ნიუ ორლეანი: დევისი (23), მალუა (18 ქულა, 11 მოხსნა)
ლეიკერსი: ბრაიანტი (31), ბატლერი (23), ეტკინსი (18)

**ჩიკაგო 74:94 ფინიქსი**
ჩიკაგო: დენგი (18)
ფინიქსი: სტუდემაიერი (26 ქულა, 15 მოხსნა), ჯონსონი (20), რიჩარდსონი (16)

### აღმოსავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ტორონტო | 3 | 1 | 75,0 |
| ნიუ ჯერსი | 2 | 2 | 50,0 |
| ბოსტონი | 1 | 2 | 33,3 |
| ნიუ იორკი | 1 | 2 | 33,3 |
| ფილადელფია | 1 | 3 | 25,0 |
| **ცენტრალური** | | | |
| ინდიანა | 4 | 0 | 100 |
| დეტროიტი | 3 | 1 | 75,0 |
| მილუოკი | 1 | 1 | 50,0 |
| კლივლენდი | 1 | 3 | 25,0 |
| ჩიკაგო | 0 | 3 | 0 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| მაიამი | 4 | 0 | 100 |
| ორლანდო | 3 | 1 | 75,0 |
| ვაშინგტონი | 2 | 2 | 50,0 |
| შარლოტი | 1 | 1 | 50,0 |
| ატლანტა | 0 | 4 | 0 |

### დასავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| დალასი | 4 | 1 | 80,0 |
| სან ანტონიო | 2 | 1 | 66,7 |
| ჰიუსტონი | 3 | 2 | 60,0 |
| მემფისი | 0 | 4 | 0 |
| ნიუ ორლეანი | 0 | 4 | 0 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 4 | 0 | 100 |
| სიეტლი | 3 | 1 | 75,0 |
| მინესოტა | 2 | 2 | 50,0 |
| პორტლენდი | 2 | 2 | 50,0 |
| დენვერი | 1 | 4 | 20,0 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 4 | 0 | 100 |
| ლეიკერსი | 3 | 2 | 60,0 |
| კლიპერსი | 2 | 2 | 50,0 |
| საკრამენტო | 1 | 3 | 25,0 |
| გოლდენ სტეიტი | 0 | 4 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



რამაზ ნოზაძე, გიორგი ასანიძე, გიორგი გაბაშვილი, ზურაბ ზვიადაური და ნესტორ ხერგიანი

# გადახდა უნდა ვალსაო

## სახელმწიფომ სპორტი დააფასა

გუშინ სპორტისა და კულტურის სამინისტროში ქართული სპორტის წლევანდელი წარმატებების შემოქმედები დააჯილდოვეს. სახელმწიფოს თქვენი ვალი ჰქონდა და აგერ, გიხდითო — იხუმრა ქართული სპორტის შეფმა გიორგი გაბაშვილმა და ფულადი პრემიები დაარიგა. ვინაიდან წლის უმთავრესი მოვლენა ოლიმპიური თამაშები იყო, პირველ რიგში მასზე თავგამოჩენილ ოთხეულს უხმეს.

ოლიმპიური ჩემპიონები ზურაბ ზვიადაური და გიორგი ასანიძე 50-50 ათასი ამერიკული დოლარით დაასაჩუქრეს, ხოლო ვერცხლის პრიზიორები ნესტორ ხერგიანი და რამაზ ნოზაძე 30-30 ათასით. ამასთან, ოთხივეს სპორტის რაინდობა მიენიჭა და ამის დამადასტურებელი მედლებიც გადაეცათ.

მინისტრმა ჩემპიონ-პრიზიორთა მწვრთნელებს და მედპერსონალსაც გადასცა კონვერტები. მერე კი ათენში უმედლოდ დარჩენილი, თუმც წლევანდელ სეზონში მაინც თავგამოჩენილი სპორტსმენები და მათი აღმზრდელებიც დააჯილდოვა.

თანხების გადაცემის ცერემონიალს სპეციალურად დამონტაჟებულ დიდ ეკრანზე ნაჩვენები ოლიმპიური მედლების მოპოვების ამსახველი კადრები ალამაზებდა. ბოლოს კი დაჯილდოებაზე დამსწრე 50-მდე კაცმა ქართველი ერის და ბერის გამხარებლების სადღეგრძელოებიც შესვა.

ჩოგბურთი

# შენ რა სექსი ხარ!

## შარაპოვამ სერენაც აალელვა



**წლის** დამაგვირგვინებელი რვაქალა ლოსანჯელესობის ორგანიზატორებმა ტურნირის გასარეკლამებლად მარია შარაპოვას პლაკატი გამოუშვეს. მნახველის ყურადღებას პლაკატზე უწინარესად 17 წლის ქეროსანი რუსგოგოს მაცდურად მოტიტვლებული უგრძელესი ფეხები იპყრობს, ხოლო ამ ფეხთა ხილვით გამოწვეულ აღელვებას კიდევ უფრო ამძაფრებს შემდეგი დევიზი: „რაც უფრო ახლოს მიუჯდები, ის მით უფრო გახურდება!"

ამ პლაკატს ზემოქმედების ისეთი საშინელი ძალა აქვს, რომ — კაცებს ვინ ჩივის — თვით სერენა უილიამსის აღტაცებაც კი გამოუწვევია.

„ის ძალიან სექსია — უთქვამს მასთან ამ საკითხზე გასასაუბრებლად მისული ჟურნალისტებისთვის მამა რიჩის უმცროს გოგოს — ამ ფოტოზე მისი ფეხები მართლაც განსაკუთრებულად მომწონს. ო, რა სექსი ფეხები აქვს!"

„ისე, თუკი პლაკატების გაყიდვა არ შეგიძლია, ამ ტურნირზე საერთოდაც არაფერი გესაქმება. სამწუხაროა, ამის თქმა რომ მიწევს, მაგრამ სექსი ჩვენს პროდუქციასაც ასაღებს."

„მადარდებს თუ არა ის, რომ 17 წლის გოგონას ასე შილიფად წარმოაჩენენ? აბა, რა გითხრათ — მე ისეთიც ძალიან ბევრი ვიცი, ჯერ 12-ის რომ არის და უკვე ისეთ რალაცებს აკეთებს, რაც მისი ასაკისთვის შეუფერებელია... ყველგან ასეა, მსახიობი ხარ თუ მომღერალი, ბილეთებს და ალბომებს მხოლოდ მაშინ ჰყიდი, სხვაზე სექსი თუ ხარ."

ხოლო, რაკილა თავად სერენას შარაპოვაზე არანაკლები მღედრული დავლათი მოეპოვება — რაშიც ჩვენი მადლიერი მკითხველი ამ ერთი კვირის წინ მისი აქვე წარმოდგენილი, ძუძუებამოყრილი ფოტოთიც უნდა დარწმუნებულიყო — იმდენადვე დაბლტიეის ჩემპიონატის დირექტორ ჯონ არიქს ერთგვარად მობოდიშებაც მოუხდა: ჩვენ სერენას პლაკატსაც დავბეჭდავდით, მაგრამ ეს მხოლოდ იმის გამო არ მოხერხდა, რომ მისი აქ ჩამოსვლა-არჩამოსვლის ამბავი ბოლო მომენტამდე არ იყო გარკვეულიო.

**ლევან ძელაურაძე**

ცურვა



# ფელპსი მშრალზე ამოჰყავთ

**კვლავ** ყურადღების ცენტრშია ათენის ოლიმპიური თამაშების ექვსგზის ჩემპიონი, ამერიკელი მოცურავე მაიკლ ფელპსი. ამჯერად მან აუზში კი არა, ავტომობილის საჭესთან „გამოიჩინა" თავი — შეცდა კაცი და საჭეს ნასვამი მიუჯდა, ერთი მაგისტრალიდან მეორეზე გადასასვლისას ამკრძალავ ნიშანს არ მიაქცია ყურადღება, რისთვისაც ფხიზელმა პატრულმა უმალ დააკავა.

„ვიცი, რომ ნასვამი კაცი საჭეს არ უნდა მიუჯდეს. ეს ძალზე სახიფათო და დაუშვებელია. მხოლოდ 19 წლისა ვარ, მაგრამ ვაცნობიერებ, რომ პასუხისმგებლობას არ უნდა გავექცე" — აღიარა მაიკლ ფელპსმა.

ფელპსი თავდებით გაათავისუფლეს, თუმცა, მონანიების მიუხედავად, მას მაინც მკაცრი სასჯელი ელის. სასამართლოს შეუძლია იგი ერთი წლით დაატუსაღოს, ან ათასდოლარიანი ჯარიმით შემოიფარგლოს.

ასე რომ, ფელპსს წყლიდან მშრალზე ამოიყვანენ, თუმცა, მშრალად მაინც ვერ გადარჩება.

ოლონდაც, ფელპსის დანაშაულს ისიც ამძიმებს, რომ მერილენდის შტატის კანონის თანახმად, 21 წელზე ახალგაზრდებს ალკოჰოლური სასმელების მოხმარება ეკრძალებათ.

სპორტსმენის მწვრთნელის ბობ ბოუმენის თქმით, მის შეგირდს ვარსკვლავური ავადმყოფობა შეეყარა. ეტყობა, მან იფიქრა, რომ დაუსჯელად ყველაფრის გაკეთება შეუძლია, რაც მოესურვებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რომარიო და კამპოსი მიდიან

რომარიო და მექსიკელთა განთქმული მეკარე ხორხე კამპოსი დღეს ლოს ანჯელესში გამოეთხოვებიან ფეხბურთს. ამიტომაც ტოვებენ შეუმშრალ თიხაზე თავიანთი ფეხების ანაბეჭდს. ისინი მექსიკა — ბრაზილიის ამხანაგური მატჩით წავლენ მინდვრიდან. ამ ნაკრებების შემადგენლობა კი ისეთი იქნება, 1994 წლის ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ იყო.



REUTERS ლოს ანჯელესიდან


REUTERS საუთ ბიჩიდან

# ოპიუმის ბალისკენ

ენბიეი-ს სეზონი, მოგეხსენებათ, გაიხსნა და ყველა გუნდმა გადაიხადა გახსნის ტრადიციული ქეიფი. აწ მაიამელ შაკილ ონილს სწორედ ამ ქეიფზე მიეჩქარება — საუთ ბიჩის „ოპიუმის ბალის“ ღამის კლუბში.


REUTERS საბლე დოლონიდან

# ვენდი გლობი

უწყვეტი გარსაქვეყნო ცურვა „ვენდი გლობი“ ფრანგული საბლე დოლონიდან კვირას დაიწყო. ფრანგთა შკიპერ ეროვ ლორენს გაცილებისას გვერდი ჩეხმა მოდელმა ადრიანა სკლენარიკოვა-კარემბეუმაც დაუმშვენა. ეკიპაჟში კი 20 მეზღვაურია, ექვსი ქვეყნიდან.

# მიმღები და სხვა

კაცს, რომელმაც კვორტერბეკის პასი უნდა დაიჭიროს, ამერიკულ ბურთაობაში ბურთის მიმღები ჰქვია. ხოლო კაცს, რომელიც მას ამ მიღებაში ხელს უშლის ხოლმე კუთხის მცველი. ჰოდა, კლივლენდელმა ჯეფ გარსიამ თავისიან ანდრე დევისს პასი გაუშალა, ბალტიმორელმა გარი ბაქსტერმა კი არ მიაღებინა. რომელი რა ხელობისა იყო, თავად გამოიცანით.


REUTERS ბალტიმორიდან



REUTERS პარიზიდან

# ფრანგმა დაჭყლიტა

ფრანგთა ჩემპიონი მაიარ მონშიმური მადლიანი ჯებით ჭყლეტს ტაილანდელ იოდამრონგ სისიოდტონგის ცხვირს და იცავს თავის ასოციაციის (ვბა) ქამარს, ზე-როჭოს წონაში რომ უპყრია. ბრძოლა რეფერიმ შეწყვიტა მეექვსე რაუნდში.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge